



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 7-8 დეკემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი - 9 თებერვალი, 2023

თბილისი
2023

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	19
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	20
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	46
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	63
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	69
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	87

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე პატარიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია	გერმანული ფილოლოგია	რუსული ფილოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology	გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of German Philology	რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Russian Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება/ Language Acquisition	0231 ენის დაუფლება/ Language Acquisition	0231 ენის დაუფლება/ Language Acquisition
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	N/A	N/A	N/A
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 2012 წლის 28 ნოემბრის N 743 გადაწყვეტილება	აკრედიტებული, 2012 წლის 28 ნოემბრის N 741 გადაწყვეტილება	ახალი, N/A

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

კლასტერში დაჯგუფებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური 22, მოწვეული - 2). პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო 25. ამ ეტაპზე, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 124 პირია ჩართული პროგრამაში. პროგრამას მხარ უჭერს 10 ადმინისტრაციული პერსონალი.

გერმანული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური 14, მოწვეული - 6). პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყო 7-5. ამ ეტაპზე, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 3 პირია ჩართული პროგრამაში. პროგრამას მხარ უჭერს 10 ადმინისტრაციული პერსონალი.

რუსული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური 16, მოწვეული - 9). პროგრამა ახალია, შესაბამისად არ არის აქტიური სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი. პროგრამას მხარ უჭერს 10 ადმინისტრაციული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრით დათარიღებული ბრძანების №1502827 თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი 2022 წლის 7-8 დეკემბერს ეწვია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში. კლასტერში განხილულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

დღის წესრიგით განსაზღვრულ ფარგლებში, გასაუბრება წარიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტამდე ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

სტანდარტის კომპონენტი 1.3

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობა. აღნიშნული საკითხი, ამ ეტაპზე, არ ვრცელდება რუსული ფილოლოგიის პროგრამაზე, რადგან პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა.
2. რეკომენდებულია განხორციელდეს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების სრულყოფილი ანალიზის წარმოდგება.

სტანდარტის კომპონენტი 1.4

3. რეკომენდებულია სტუდენტების განაწილება მოხდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით უცხოურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლა დაიწყოს იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან.

სტანდარტის კომპონენტი 1.5

4. რეკომენდებულია, პროგრამებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტების ჯეროვნად ათვისების და საბაკალავრო ნაშრობის სათანადო ხარისხით შესრულების მიზნით, გაძლიერდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენება. მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა სტუდენტებში.
5. ინგლისური ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია კრიტიკულად გადაიხედოს თეორიული კურსების შინაარსი, წინაპირობები და ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგებზე სათანადო აკადემიური მოსწრებით გასვლა და განსაზღვრული ცოდნის და უნარების გამომუშავება.
6. ინგლისური ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია რეკომენდებულია გადაიხედოს კურსების სემესტრული განაწილება. კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია კონკრეტული საგნების მე-6, მე-7 სემესტრზე გადაწილება, როდესაც სტუდენტს მეტად ექნება განვითარებული ენობრივი კომპეტენცია (იხილეთ მსჯელობა არგუმენტირების ნაწილში)
7. ინგლისური ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კრიტიკულად გადახედვა რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა.
8. ინგლისური ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია მიზანშეწონილია სასწავლო კურსების წინაპირობების გადააზრება საგნის შინაარსის, სპეციფიკის (მაგ. შეფასების კომპონენტები) გათვალისწინებით.
9. გერმანული ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განისაზღვროს კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით
10. გერმანული ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, სილაბუსებში მიეთითოს კურსის შინაარსში დასახელებული სასემინარო მხატვრული ლიტერატურა
11. გერმანული ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, კურსებში გაძლიერდეს საბაზისო კვლევითი უნარების განმავითარებელი შეფასების კომპონენტების ხვედრითი წილი (საშინაო ნაშრომები, პროექტები)
12. გერმანულია ფილილოგიის პროგრამის შემთხვევაში, მიზანშეწონილია კურსების წინაპირობების განსაზღვრა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე

სტანდარტის კომპონენტი 2.2

13. რეკომენდებულია პროგრამებს დაემატოს სასწავლო კურსი კვლევის საბაზისო თეორიების შესწავლისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. ალტერნატივის სახით, მნიშვნელოვანია არსებულ სასწავლო კურსებში აღნიშნული საკითხის მეტად გაძლიერება (მაგ. აკადემიურ წერა). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განხილული იყოს აკადემიური წერის ორი სემესტრის განმავლობაში სწავლება. კვლევითის ელემენტების ინტეგრირება შესაძლებელია სხვა სასწავლო კურსების ფარგლებშიც.
14. რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრობის ხარისხის ამაღლება. საჭიროა სტუდენტებთან ჩატარდეს სამუშაოები აკადემიურ სტილთან დაკავშირებით. ასევე,

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა ჩაატაროს კონკრეტული საინფორმაციო შეხვედრები სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ და აწარმოოს სტატისტიკური მონაცემები ბაზებზე წვდომის/გამოყენების მონიტორინგის .

სტანდარტის კომპონენტი 2.4.

15. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და შესაბამისი რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსის სასწავლო შედეგებზე გასვლა და სტუდენტს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მოსალოდნელი შეფასების, დავალების სახეობების შესახებ.
16. რეკომენდებულია სილაბუსებში სათანადო აქცენტი გაკეთდეს წერის/კვლევის უნარების განვითარებაზე, შესაბამისად, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები საჭიროა აფასებდეს პრაქტიკულ უნარებს, ისევე როგორც თეორიული ცოდნას.
17. მნიშვნელოვანია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების შემთხვევაში, საბაკალვრო ნაშრომების შეფასების პროცესში გათვალისწინებული იყოს აკადემიური სტილის გამოყენების შეფასება. შესაბამისად, შესაბამისმა აკადემიურმა პერსონალმა უნდა მიაწოდოს სტუდენტებს ამომწურავი ინფორმაცია აკადემიური სტილის შესახებ. რუსული ფილოლოგიის შემთხვევაში, მიზანშეწონილია აღნიშნული გათვალისწინებული იყოს პროგრამის სათანადოდ განხორციელებისთვის.

სტანდარტის კომპონენტი 4.4

18. კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია სწავლებისა და შეფასების პროცესის ტექნიკური რესურსით სრულად უზრუნველყოფა.
19. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საავტორო უფლებების დაცვა წიგნების გაციფრულების შემთხვევაში.

სტანდარტის კომპონენტი 5.1

20. რეკომენდებულია პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფმა განახორციელოს პროგრამის როგორც შინაარსობრივი ასპექტების, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი (მაგ., მატერიალურ-ტექნიკური) რესურსების საკმარისობის შესწავლაც და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოახდინოს პროგრამის შემაჯამებელი შეფასება

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

სტანდარტის კომპონენტი 1.2

1. რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამის შემთხვევაში, სასურველია უნივერსიტეტს/დეპარტამენტს გაფორმებული ჰქონდეს მემორანდუმები დასაქმების რელევანტური სფეროების წარმომადგენლებთან, მათ შორის, ენათა ცენტრთან, კერძო თუ საჯარო სკოლასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

სტანდარტის კომპონენტი 1.4

2. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში, სასურველია კურიკულუმს დაემატოს დარგობრივი გერმანული ენის კურსი/ები (იურიდიული გერმანული, ბიზნესგერმანული), რაც დასაქმების ბაზარზე გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას გაზრდის

სტანდარტის კომპონენტი 1.5

3. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში, სასურველია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი პროგრამის შინაარსობრივი და ადმინისტრაციული საკითხების სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით.

სტანდარტის კომპონენტი 2.3

4. სასურველია აკადემიურმა პერსონალმა, სემესტრის დასაწყისში და/ან საჭირო პერიოდულობით, სათანადო დრო დაუთმოს სილაბუსის სტუდენტებისთვის გაცნობას, როდესაც მიაწოდებს მათ ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.

სტანდარტის კომპონენტი 2.4

5. გერმანული ენის პრაქტიკულ კურსებში დაემატოს დამოუკიდებელი საშინაო წერითი დავალებების შეფასების კომპონენტი, რომელიც გააუმჯობესებს, ერთი მხრივ, სტუდენტის წერით უნარებს და ლექტორს საშუალებას მისცემს, ინტენსიურად დააკვირდეს სწავლის პროცესში წერითი კომპეტენციის განვითარების ეტაპებსა და გამოწვევებს, მეორე მხრივ, სტუდენტს გამოუმუშავეს სალექციო-სასემინარო პროცესში მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტი 3.1

6. სასურველია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების ხელმძღვანელებმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ხელი შეუწყოს პროგრამების სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მეტ ჩართულობას (ან უნივერსიტეტის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა). საჭიროა ჩატარდეს ანალიზი შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მიზანშეწონილია რუსული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იყოს იგივე პრაქტიკა.
7. სასურველია, სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ, მათ შორის, სილაბუსის ფარგლებში.

სტანდარტის კომპონენტი 4.1

7. პროგრამაზე ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რათა ეცნობოდეს ინტენსიურად დარგში არსებულ ახალ/აქტუალურ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს კვლევითი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხარისხს.
8. სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული ბაზები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იქნება, თუკი უნივერსიტეტი აწარმოებს ელექტრონულ ბაზებზე წვდობის სტატისტიკას.

სტანდარტის კომპონენტი 5.1

9. მიზანშეწონილია გარე ექსპერტების (უსდ-ების წარმომადგენლების/სხვ.) მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ პროგრამის შემუშავების/მოდულიზაციის ეტაპზე, არამედ ასევე ამ პროცესის დასრულების შემდგომაც, რაც ხელს შეუწყობს მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენა-დადასტურებას.

სტანდარტის კომპონენტი 5.2

10. მიზანშეწონილია „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

11. მიზანშეწონილია „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³-
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე -

რეკომენდაცია 1

ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. ექსპერტებს ესმის, რომ კომპონენტი 5.3 ითვალისწინებს უცხოური უნივერსიტეტების პროგრამების შესწავლას, თუმცა ვინაიდან, სტანდარტი 1, საერთო ჯამში პროგრამის სტრუქტურას აფასებს, აღნიშნული რეკომენდაცია გადავიტანეთ 1.3 კომპონენტის ქვეშ. არგუმენტაციის ნაწილში განხილული გვაქვს და დადებითად არის შეფასებული უცხოური უნივერსიტეტების ანალოგების ანალიზი, თუმცა მეორე უცხოური ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტისა და თავისებურებების გათვალისწინება, რაც მხოლოდ უცხოური ანალოგების შესწავლით ვერ დაკმაყოფილდება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში მხოლოდ ერთი წინადადებით არის აღნიშნული ეს საკითხი. გასაუბრების დროს დაისვა კითხვა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა ზედაპირულად აღნიშნეს, რომ იცნობენ პროგრამებს, თუმცა კონკრეტული მაგალითები არ მოუწოდებიათ.

რეკომენდაცია 2

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი. ვადასტურებთ, რომ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ პროგრამის ირგვლივ შეხვედრების გამართვას. თუმცა, გასაუბრების დროს ჯგუფის წევრებმა ვერ აღწერეს და დაასაბუთეს თუ რა ფუნქცია/როლი ჰქონდათ მათ პროგრამის შემუშავების პროცესში, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმებზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ნამდვილად სარეკომენდაციო ხასიათია, ვინაიდან პროგრამის განვითარება მეტწილად დამოკიდებულია პერსონალის სრულ ინფორმირებულობაზე. მათ კარგად უნდა ჰქონდათ გააზრებული თითოეული მექანიზმი, რითიც შესაძლებელი იქნება შედეგების შეფასება და, შესაბამისად, იზრუნებენ მუდმივ განვითარებაზე.

რეკომენდაცია 3

ექსპერტთან მოსაზრებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. დაწესებულების მიერ მოყვანილი ციტატა ექსპერტთან დასკვნიდან შეეხება ზოგადად პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურ გამართულობას, ხოლო გაცემული რეკომენდაცია საუბრობს სამეცნიერო ბაზების გამოყენებაზე. მაშინ, როდესაც საბაკალავრო ნაშრომის შესრულება პროგრამულად ევალუა სტუდენტებს, სავალდებულოა, ისინი გაეცნონ დამატებით სტატიებს სასწავლო მასალის მიღმა. მხოლოდ სასწავლო კურსებში მოცემული ლიტერატურა არ არის საკმარისი ხარისხიანი საბაკალავრო ნაშრომის წარმოსადგენად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომებს, რომელთა ხარისხი ნამდვილად არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამასთანავე, პროგრამის სწავლის შედეგი 7 აღნიშნავს, რომ სტუდენტი „დამოუკიდებლად მოიძიებს და იყენებს ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ მასალას და სხვა სახის წყაროებს, შესაბამის მულტიმედიური და საბიბლიოთეკო რესურსებს“. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, სტუდენტს გამოუმუშავდეს უნარი იმუშაოს სამეცნიერო ბაზებზე, საბაკალავრო საფეხურზეც კი. ბოლოს, თუკი დაწესებულებას აქვს პრეტენზია, რომ აღნიშნული პროგრამით სტუდენტებს ასევე ამზადებს სწავლების მეორე საფეხურისთვის, ვფიქრობთ, ბაზებთან მუშაობის საბაზისო უნარების გამომუშავება აუცილებელია.

რეკომენდაცია 4

ექსპერტთან მოსაზრებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. სტუდენტები გასაუბრების დროს საუბრობდნენ, რომ მათ სხვადასხვა დონე აქვთ უცხოურ ენაში. იყო შემთხვევები, მაგალითად გერმანული ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი აღნიშნავდა რომ ის ეხმარებოდა თავის ჯგუფის წევრებს, რადგანაც უჭირდათ მასალის დაძლევა. დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, დონეების მიხედვით შესთავაზოს უცხოური ენა სტუდენტებს ან შეიმუშაოს მექანიზმი, რითაც განსხვავებული ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტები არ დაიჩაგრებიან.

რეკომენდაცია 5 და 6

ექსპერტები იზიარებენ დაწესებულების არგუმენტაციას. შესაბამისი ცვლილებები შევა დასკვნის ნაწილში.

რეკომენდაცია 7 და 8

ექსპერტთან მოსაზრებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. დაწესებულება ფაქტობრივად იზიარებს ექსპერტების მსჯელობს დასახელებული კურსების ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ დამატებითი ლიტერატურის ნაწილიდან შესაძლებელია კონკრეტული სახელმძღვანელოების სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში გადატანა. ეს

მისასაღმებელია, თუმცა აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტების დატვირთვა, სავარაუდოდ, უნდა გაიდახედოთ მათი დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა. თეორიული კურსების მე-7 და მე-8 სემესტრში გადანაცვლებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გამომდინარეობდა სტუდენტების პოზიციიდანაც. ისინი საუბრობდნენ რომ უჭირდათ თეორიული საგნები, ასევე მათთვის რთული იყო ინგლისურ ენოვანი წიგნებით სწავლა. ეს ფაქტი ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური მოსწრების ანალიზით (იხილეთ ექსპერტების დასკვნა გვ. 28).

რეკომენდაცია 9

ექსპერტთან მოსაზრებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. ექსპერტთა ჯგუფს მაგალითისთვის დასკვნაში მოყვანილი აქვს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსისა და ლათინური ენის მაგალითი. ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსზე დაწესებულება არ მსჯელობს. ლათინური ენის შესახებ კი აღნიშნავს, რომ იგი საფაკულტეტო სასწავლო კურსია და არ საჭიროებს ცვლილებას. პირველ რიგში, მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი საფაკულტეტო კურსის მორგება შესაძლებელი უნდა იყოს სტუდენტების საჭიროებაზე, მათი დარგობრივი პროფილის გათვალისწინებით. ამასთანავე, ექსპერტები არ საუბრობენ კურსის მხოლოდ ინგლისური ენის განთითარებაზე მორგებას, არამედ სთავაზობენ დაწესებულებას შედეგი იყოს ფორმირებული ამ კუთხით, ასევე იმისთვის, რომ საგანი უფრო ქმედითი და სარგებლის მომტანი გახდეს ინგლისური ენის ფილოლოგიისათვის, საჭიროა აღნიშნულ საკითხზე სასწავლო კურსის შინაარსში ჩაშენებული იყოს შესაბამისი ინფორმაცია. გასაუბრების დროს თავად აკადემიური პერსონალმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის მიზანია, აუხსნას სტუდენტებს თუ როგორ ჩამოყალიბდა თანამედროვე ინგლისური ენა ლათინური ენის საფუძველზე და მისი გავლენით, თუმცა სასწავლო კურსს არ გააჩნია შესაბამისი სწავლის შედეგი.

რეკომენდაცია 10

ექსპერტთან მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, რადგან სასწავლო კურსების გადაადგილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ლოგიკური წინაპირობების დაცვა. ამასთანავე, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის შეფასების კომპონენტები მოითხოვს სტუდენტებში კონკრეტული უნარებს, მაგალითად წერის უნარები. შესაბამისად, რეკომენდაცია გაცემული იყო მე-9 რეკომენდაციის და სასწავლო კურსებში მოყვანილი შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია 11

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი. მაგალითისთვის, გერმანული ლიტერატურის ისტორიის კურსებში სტუდენტს სხვადასხვა კვირაში უწევს მოამზადოს სემინარისთვის (ერთი კვირის განმავლობაში) რამდენიმე მხატვრული ტექსტი, მაგალითად, გერმანული ლიტერატურის ისტორია 2, მე-3 კვირისთვის სტუდენტს წაკითხული უნდა ჰქონდეს ერთი კვირის განმავლობაში გოეთეს შემდეგი ნაწარმოებები: "გოც ფონ ბერლიჰინგენი", "ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი", "ლირიკული ტექსტები, დრამები: "იფიგენია ტავრისში", "ტორკვატო ტასსო", "ეგმონტი". ასევე, ზოგადად, დაწესებულების პოზიციის საპასუხოდ, გვინდა ავღნიშნოთ, რომ გერმანული ფილოლოგიის შესავალის შემადგენელი მოდულებია გერმანული ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა და მოიცავს პრიმარული კომპეტენციების შექმნას ზემოთ დასახელებულ ორივე მოდულში. აქვე ვურთავთ ამონარიდს თავად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსიდან:

გერმანული ფილოლოგიის შესავალი, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსის მიზანია: „მისცეს სტუდენტს ფართო და ზოგადი ცოდნა: გერმანული ლიტერატურის ისტორიის საკითხების შესახებ; ლიტერატურული ჟანრების წარმოშობისა და განვითარების, გერმანულენოვანი მწერლების/პოეტების და მათი ნაწარმოებების შესახებ“.

რეკომენდაცია 12

რეკომენდაცია რჩება უცვლელი, დაწესებულებას არ გამოუთქვამს მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია 13

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი. იხილეთ მსჯელობა რეკომენდაცია 3-დან გამომდინარე. წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომების ანალიზით და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგას, ნათლად გამოიკვეთა, რომ მათ უჭირთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აკადემიური/ავტორიტეტული წყაროების მოძიება და გამოყენება (საბაკალავრო ნაშრომების ბიბლიოგრაფია, ინტერვიუ), შესაბამისად, სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტებში მცირე კვლევითი პროექტების ჩართვა სავარაუდოდ აღმოფხვრის ამ ხარვეზს..

რეკომენდაცია 14

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ლექსიკოლოგიის სილაბუსის შინაარსში გაწერილი საკითხები მოიცავს როგორც პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ისე თეორიულ საკითხებს, რომელთა დასამუშავებლად კვირების მიხედვით მითითებულია გერმანულენოვანი სახელმძღვანელოები, მაგალითად, მე-2 კვირის სალექციო თემა მოიცავს: Die Stellung der Lexikologie im Ensemble von Nachbarwissenschaften. Disziplinen der Lexikologie und Aspekte der Wortschatzbetrachtung. Lexikologiekonzepte. Onomasiologie und Semasiologie. Etymologie und Wortgeschichte. Lexikologie und Phraseologie. Lexikologie und Stilistik. Lexikologie und Lexikographie. Lexikologie und Onomastik. Lexikologie und Psychologie, ხოლო შესაბამისი დასამუშავებელი მასალაა: 1. Lexikologie der deutschen Sprache. Lehrbuch. Чернівці 2017. 2. Stojic, A. Lexikologie und Lexikographie (Lehr- und Übungsbuch). Rijeka 2015. 3. Munske, H. H. Lexikologie, Wortbildung, Orthographie. Ausgewählte sprachwissenschaftliche Schriften (1970-2015). Teil 1. FAU University Press. Erlangen 2015. 4. Lobin, H., Schneider, R., Witt, A. Germanistische Sprachwissenschaft um 2020. Digitale Infrastrukturen für die germanistische Forschung. Walter de Gruyter. Berlin/Boston 2018.

აგრეთვე, ვინაიდან სიტყვათწარმოება ლექსიკოლოგიის ქვედარგია, შესაბამისად, აღნიშნული კურსის სავალდებულო ბლოკში ჩასმა ლექსიკოლოგიის კურსთან ერთად არ არის მიზანშეწონილი, მით უფრო, რომ ლექსიკოლოგიის კურსი მოიცავს მიზნად იმას, რომ მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა „გერმანული ენის ლექსიკოლოგიის უმნიშვნელოვანესი სფეროების შესახებ, როგორცაა სემასიოლოგია, ონომასიოლოგია, სიტყვაწარმოება, სიტყვათა მარაგის ფენებად დაყოფა, ფრაზეოლოგია“.

რეკომენდაცია 15

ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი, რადგან არც ერთი სილაბუსი არ ასწავლის სტუდენტებს კვლევის საბაზისო უნარებს, მაგალითად, კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრას, დარგის შესაბამისი კვლევის ინსტრუმენტის შედგენას. ეს საკითხი პრობლემურად გამოიკვეთა საბაკალავრო ნაშრომების გადახედვის შედეგადაც. ექსპერტებს

ესმის, რომ საბაკალავრო ნაშრომი, თავისი შინაარსით, არ საჭიროებს სიღრმისეულ კვლევით კომპონენტს, ამიტომაც რეკომენდაციაში საუბარია საბაზისო უნარების განვითარებაზე. აკადემიური წერის სილაბუსი არ სთავაზობს სტუდენტებს აღნიშნულ ცოდნას. მხოლოდ მე-10 კვირას არის საუბარი წყაროების მოძიებაზე, ხოლო სხვა საკითხებზე ყურადღება არ არის გამახვილებული. დაწესებულების მიერ მოყვანილია ერთი სასწავლო კურსი „ენათმეცნიერების შესავალი“, რომლითაც ისინი ასაბუთებენ კვლევითი უნარების განვითარებას. პირველ რიგში, აღნიშნული სასწავლო კურსი ისწავლება პირველ სემესტრში, როდესაც სტუდენტები არ არიან მზად შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგია. დაწესებულება აღნიშნავს, რომ მაგალითად, მე-5 კვირას ისწავლება ფონეტიკის კვლევის მეთოდები. სილაბუსში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „სალექციო თემატიკა - ფონეტიკა და ფონოლოგია, ფონეტიკის მეთოდები, ენობრივი სისტემის ფონოლოგიური დონე: ფონემა, როგორც ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეული, სამეტყველო ორგანოები, საარტიკულაციო ბაზისი; ბგერა და სამეტყველო ფონემა. ალოფონი, აკუსტიკური ფონეტიკა (ბგერის სიმაღლე, ბგერის ხანგრძლივობა, ინტენსივობა...), ბგერათა კლასიფიკაცია, ფონოლოგიური სისტემები, ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რავგარობის მიხედვით, დისტრიბუცია, ფონოლოგიური ოპოზიციები, ფონეტიკა და ფონოლოგია“. ამ თემატიკის დასაფარად გამოყოფილია 2სთ. შესაბამისად, შეუძლებელია სტუდენტებმა ისწავლონ კვლევის მეთოდოლოგია აღნიშნულ დროში, აღნიშნული თემატიკის მოცულობის გათვალისწინებითაც. იგივე შეეხება მე-13 კვირის თემატიკას. აღსანიშნავია, რომ ეს არის კლასტერული რეკომენდაცია.

რეკომენდაცია 16

ექსპერტები ნაწილობრივ იზიარებენ დაწესებულების მოსაზრებას, რეკომენდაცია გადადის რჩევაში 3.1. კომპონენტის ქვეშ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რარგუმენტაციის ნაწილში (გვ.36-37), საუბარია რამდენიმე პრობლემულ საკითხზე, როგორცაა საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის, აკადემიური სტილის გამოყენება, კვლევითი უნარების განვითარების საჭიროება და გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობა. იმავე კომპონენტში გაცემული სხვა რეკომენდაციები (რეკომენდაცია 15, 17) იწვევს კომპონენტი 2.2-ის ნაწილობრივ შესაბამისად შეფასებას, დაწესებულებას პოზიცია კი წარმოდგენილია მხოლოდ გაცვლითი პროგრამების შესახებ. აღნიშნულის შესახებ ექსპერტები სთავაზობენ დაწესებულებას გაანალიზოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის შეთავაზებების არ/ვერ გამოყენების მიზეზები, რადგან თავად აკადემიური პერსონალი საუბრობდა, რომ სტუდენტები არ ინტერესდებიან ან ვერ აღწევენ წარმატებას ენობრივი კომპეტენციის დონის გამო.

რეკომენდაცია 17

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი. დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას.

რეკომენდაცია 18, 19, 20

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაციები რჩება უცვლელი. **ზოგადად, შეურაცხმყოფელია დაწესებულების მოსაზრება, რომ ნებისმიერი რეკომენდაცია გაცემულია სიტუაციის დამძიმების მიზნით.** ექსპერტებმა იმსჯელეს და შეაფასეს კომპონენტი აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტისთვის განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ზოგადად, შეფასების სისტემა თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუმცა, სილაბუსების

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, რაც დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში (გვ 41-45).

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში: საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების პირველივე კვირაში გამოკითხვა ნამდვილად არაა მიზანშეწონილი, ასევე ხარვეზია ამ კონკრეტული კომპონენტის რუბრიკაში. იმავე კურსის შემთხვევაში ერთ-ერთ ხარვეზად დასახელებულია პრეზენტაციის გამოყენება შეფასების კომპონენტად, სასწავლო კურსის მიზნების და შედეგების გათვალისწინებით. აქვე, საუბარია რეფერატის შეფასებისთვის ქულის გაზრდის შესაძლებლობაზე. ბოლოს, საუბარია კონკრეტულად დასკვნით გამოცდის შეფასების კომპონენტზე და გაცემულია რეკომენდაცია არ შემოიფარგლოს დასკვნითი გამოცდა მხოლოდ თეორიული ცოდნის შემოწმებით.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსი 2+ დონე: რეკომენდაცია გაცემულია ზეპირ მეტყველების უნარების მეტად განვითარების/შეფასების საჭიროებაზე. ამ კონკრეტული სილაბუსის მაგალითზე განხილულია რამდენიმე კომპონენტი, სადაც სწორედაც საჭიროა ზეპირი მეტყველების შეფასების მეტად აქცენტირება. მაგალითად, საუბარია პრეზენტაციის შეფასების რუბრიკაზე (ლინგვისური უნარ-ჩვევები ფასდება 3 ქულით, 10 ქულიდან). ასევე, საუბარია შუალედურ გამოცდაზე, სადაც საერთოდ არ მოწმდება ზეპირი მეტყველება. რაც შეეხება დასკვნითი გამოცდაზე ზეპირი მეტყველების წარმოდგენილი კომპონენტი არ არის ადეკვატური B2+ დონის კომპეტენციის დასადასტურებლად. სწორედ ამიტომ აიღეს ექსპერტებმა საილუსტრაციონ აღნიშნული სილაბუსი. მაშინ როდესაც, ეს კონკრეტული საგანი ამოწმებს პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგის შეფასებას, მხოლოდ სემესტრის განმავლობაში განვლილი თემატიკის ირგვლივ საუბარი არაა საკმარისი კომპეტენციის დასადასტურებლად. სილაბუსში აღნიშნულია „სტუდენტის შემოწმების ძირითად ფორმაა „დიალოგი -გამოკითხვა“, „ინტერვიუს“ ერთგვარი სახეობა, სადაც მოწმდება სტუდენტის ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევები, სასაუბრო ლექსიკის ცოდნა და ამ უკანასკნელის გამოყენების ავტომატიზმი, დაფუძნებული განვლილ თემატურ მასალაზე. დავალება უნდა შესრულდეს წინასწარი მომზადების გარეშე და სტუდენტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა დიალოგში პედაგოგთან ერთად, ჩაერთოს დისკუსიაში და მოახდინოს სწორი რეაგირება პედაგოგის მიერ დასმულ კითხვებზე/რეპლიკებზე.“ ენების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩის მიხედვით, B2+ დონეზე სტუდენტმა, სხვა მოთხოვნებს შორის უნდა შეძლოს: Can interact with a degree of fluency and spontaneity that makes regular interaction with native speakers quite possible without strain for either party; Can produce clear, detailed text on a wide range of subjects and explain a viewpoint on a topical issue giving the advantages and disadvantages of various options.

ქულათა რაოდენობასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ ტექნიკური შეცდომას, რაც საერთო ჯამში საერთოდ არ ცვლის არგუმენტაციის შინაარს. აღნიშნულ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდა ფასდება საერთო ჯამში 40 ქულით. აქედან, 30 ქულაა განკუთვნილი წერითი კომპონენტზე (გრამატიკა 10 ქულა, კითხვა 10 ქულა, ესე 10 ქულა), ხოლო 10 ქულა განკუთვნილია ზეპირი კომპონენტისთვის. თუმცა ამ 10 ქულიდან, 5 ქულა არის საუბარი, ხოლო 5 - მოსმენა. შესაბამისად, ზეპირი მეტყველების უნარი წარმოდგენილ სილაბუსში ფასდება მხოლოდ 5 ქულით.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში ასევე მოყვანილია სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მაგალითი, რაც არაა განხილული დაწესებულების მიერ.

გერმანული ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში, -კურსში თარგმანის თეორია და პრაქტიკა შეფასების კომპონენტები მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობას (15

ქულა), წერთ თარგმანს (5 ქულა), ქვიზს (10 ქულა 5+5), შუალედურ გამოცდას 30ქულა და დასკვნითი გამოცდა 40 ქულა. კურსის დასახელებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტს კურსის განმავლობაში უნდა განუვითარდეს წერილობითი და ზეპირი თარგმნის კომპეტენციები. შეფასების კომპონენტები ძირითადად ორიენტირებულია თეორიული ცოდნის შემოწმებაზე, კერძოდ, შუალედური გამოცდა, რომელიც მოიცავს დახურულ ტესტსა და ღია დავალებას ეხება კურსში გავლილ თეორიულ საკითხებს. ქვიზის ტიპი და მასში შემავალი საკითხები ბუდნოვანია სილაბუსში, ხოლო წერილობითი თარგმანის ხევდრითი წილი შეფასების სისტემაში მხოლოდ 5 ქულაა, მაშასადამე, კურსში დასკვნით გამოცდამდე სტუდენტის ზეპირი თარგმნის უნარი არ მოწმდება, რაც აღნიშნული კომპეტენციის სათანადო განვითარებაზე გარკვეულწილად აისახება. დაწესებულება აღნიშნავს, რომ *”ეს არ არის ზეპირი თარგმანის ვიწრო სპეციალიზაციის სასწავლო კურსი, არც თარგმანმცოდნეობის პროგრამა“*. ჩვენს მიერ წარმოდგენილ მსჯელობა ეფუძნება უშუალოდ კურსის სპეციფიკას. კურსის დასახელებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტს კურსის განმავლობაში უნდა განუვითარდეს წერილობითი და ზეპირი თარგმანის კომპეტენციები.

იმავე პროგრამაში, კურსი „ქართულ-გერმანული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები“ აქტივობის ქულა (15) მოიცავს სამუშაო ჯგუფში მუშაობასა და დისკუსიაში ჩართულობას, თუმცა ასევე ცალკე შეფასების კომპონენტია კონკრეტული ნაწარმოების ანალიზი ზეპირად (5 ქულა). არ არის განმარტებული აღნიშნული შეფასების კომპონენტის არსი და გამოკითვის მეთოდი: სტუდენტს წინასწარ მიეთითება კონკრეტული თემა/კონტექსტი ზეპირი ანალიზისთვის, თუ თავისუფალია არჩევანში. დაწესებულების წარმოდგენილ პასუხში დასახელებულია, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი 5,4,3,2,1,0 ქულას, თუმცა არ არის განმარტებული, რომელ მხატვრულ ნაწარმოებებს, ავტორთა პოეტოლოგიურ თავისებურებებს განიხილავენ სტუდენტები. აღსანიშნავია ის, რომ ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში არსებული ტიპოლოგიური კავშირებისა და ტენდენციების გამოსავლენად, დასაკვირვებლად საჭიროა, პირველადი წყაროების გაცნობა, თუმცა კურსში აღნიშნული წყაროები არ გხვდება. მაგალითად, მე-7 კვირაში სემინარი მოიცავს გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურის ნიმუშების განხილვას, ხოლო მე-9 კვირაში- ქართულ ენაზე თარგმნილი გერმანულ კლასიკოსთა ნიმუშებს. აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ მეტად ზოგადი და მასშტაბურია დასახელებული თემები და, შესაბამისად, სემინარზე დისკუსიის/მსჯელობისა და კონკრეტული ნაწარმოების ანალიზის საკითხი ბუდნოვანია.

რუსული ფილოლოგიის შემთხვევაში, ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულებას ზეპირი გამოკითხვის და დისკუსიის კვირეულ მითითებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ცხრილში, რაც გამორჩათ ექსპერტებს მხედველობიდან. თუმცა, რეფერატთან დაკავშირებით შენიშვნა ძალაში რჩება. ვადასტურებთ რომ მოცემულია რეფერატის შეფასების რუბრიკა, თუმცა არ არის აღწერილი რა ტიპის რეფერატი, რა თემატიკაზე, რა ტექნიკური მახასიათებლებით უნდა შესრულდეს.

რუსული ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში, ექსპერტების აზრით დასკვნაში ჩანაწერი სწორია. კურსის შუალედური შეფასება შედგება შუალედური გამოცდით (30 ქულა) და აქტივობით (30 ქულა). ამ კუთხით, დასმული იყო საკითხი, თუ რამდენად შეიძლება თხუთმეტივე კვირაში სტუდენტების გამოკითხვის/ჩართულობის უზრუნველყოფა (კვირის დატვირთვა 4 საათია). დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით (ზეპირი კომპონენტი - 20 ქულა+არგუმენტირებული ნაშრომის შესრულება/პრეზენტაცია - 20 ქულა). ზეპირ კომპონენტზე სტუდენტი პასუხობს 2 თეორიულ საკითხს. შეფასების რუბრიკა შემდეგია „9-10 ქულა - საკითხი გაშუქებულია სრულყოფილად, პრეზენტაციის ტექნოლოგია

გამოყენებულია სრულად, კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია სათანადო დონეზე; სტუდენტი ზედმიწევნით ამჟღავნებს დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს; აქვს მასალის კომპაქტურად გადმოცემის უნარი“. შესაბამისად, გაუგებარია დაწესებულების მსჯელობა პრეზენტაციის ნაწილთან დაკავშირებით, რადგან ასევე, კითხვა დაისვა, ეძლევა ,თუ არა სტუდენტებს თეორიული საკითხების ჩამონათვალი წინასწარ და უწევთ თუ არა პრეზენტაციის მომზადება ყველა საკითხზე. რაც შეეხება არგუმენტირებული ნაშრომის შეფასების შემთხვევაში, არ არის სილაბუსში დაკონკრეტებული ინდივიდუალურად, თუ გუნდურად ფასდებიან სტუდენტები.

საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით, **ცოდნა გაცნობიერების შედეგი ჩამოყალიბებულია** შემდეგნაირად: სვამს დარგის ლიტერატურაში არასაკმარისად გაშუქებულ პრობლემას; ავლენს ახალ წყაროებსა და ფაქტებს; ახდენს სამეცნიერო სიახლეების იდენტიფიცირებას; ავლენს არსებული პრობლემის ახლებურად გაშუქების უნარს; აანალიზებს მიღებულ შედეგებს. განმარტავს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოუკიდებულებას. წარმოდგენილი ფორმულირება არ აღწერს ცოდნას. **უნარების შედეგი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:** არჩევს საბაკალავრო თემას ხელმძღვანელთან ერთად და ადგენს ნაშრომის გეგმას და ალაგებს სისტემურად; აგროვებს მასალებს და ადგენს ბიბლიოგრაფიას; აანალიზებს შეგროვებულ მასალას; ახდენს მიღებული შედეგების წერილობით პრეზენტაციას, გამოაქვს შემაჯამებელი დასკვნები; ამუშავებს ხელნაწერს და აფორმებს სადიპლომო ნაშრომს უნივერსიტეტში მოქმედი გაფორმების წესების თანახმად. აქ ნამდვილად ჩამოთვლილია საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტები და არა კონკრეტული უნარები. შესაბამისად, გაცხადებულია **შედეგების და არა მიზნის გადახედვასთან** დაკავშირებით (დაწესებულებას ციტირებული აქვს სილაბუსის მიზანი). შეფასების ნაწილში ექსპერტებს არ ჰქონდათ შენიშვნა. თუმცა დიდი პრობლემა დაფიქსირდა აკადემიური სტილის შესახებ სტუდენტების სრულ არაინფორმირებულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული სრულად დასტურდება საბაკალავრო ნაშრომების გადახედვის შედეგადაც.

საერთო ჯამში, ვინაიდან აღნიშნული სტანდარტის კომპონენტი კლასტერული ხასიათისაა, ექსპერტებმა გაითვალისწინეს შენიშვნები (სილაბუსების შეფასების უნიფიცირებული ხასიათი) რაც ყველა პროგრამას შეესაბამება. ასევე იმსჯელეს ინდივიდუალურად პროგრამებზე, მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი თითოეული პროგრამიდან (წარმოდგენილია ყველა სილაბუსის მაგალითად დასახელება).

რეკომენდაცია 21

ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების პოზიციას. შესაბამისი ცვლილება შევა სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტში.

რეკომენდაცია 22

რეკომენდაცია რჩება ძალაში, დაწესებულება ეთანხმება.

რეკომენდაცია 23

რეკომენდაცია რჩება ძალაში. ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან დაისვა საკითხი საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ვადასტურებთ, რომ მათ საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე. ექსპერტებმა იკითხეს გაციფრულების დასაშვებ პროცენტთან დაკავშირებით, თუმცა არც აღნიშნულის შესახებ მოუწოდებია ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს ინფორმაცია. ექსპერტებმა გამოითხოვა რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელთაგან რამდენიმე არ მოიპოვებოდა ბიბლიოთეკაში. აღნიშნულზე ექსპერტებმა არ

გაცეს დასკვნა შეგნებულად, რადგან ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ტექნიკური ხარვეზი იყო.

რეკომენდაცია 24, 25

ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დადასტურებულმა სისტემატურმა გამოყენებამ (იხ. 5.3. კომპონენტის აღწერა), დაწესებულების არგუმენტირებულმა პასუხმა და შემუშავებულმა რეკომენდაციების შესრულების გეგმამ, ასევე, აკრედიტაციის დებულებაში (მ. 261) მოცემულმა განმარტებამ („დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 წელი) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა“) ერთობლივად განაპირობა დაწესებულების პოზიციის გარკვეულწილად გაზიარებისა და 5.1 კომპონენტის („შიდა ხარისხის შეფასება“) მოთხოვნებთან „მეტწილად შესაბამისად“ შეფასების შესაძლებლობა. დასკვნის პროექტში (5.1. კომპონენტი) კლასტერზე გაცემული რეკომენდაცია #1 ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „რეკომენდებულია პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფმა განხორციელოს პროგრამის როგორც შინაარსობრივი ასპექტების, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი (მაგ., მატერიალურ-ტექნიკური) რესურსების საკმარისობის შესწავლა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოახდინოს პროგრამის შემაჯამებელი შეფასება“, ხოლო რეკომენდაცია #2 ჩამოყალიბდა რჩევის სახით: „მიზანშეწონილია გარე ექსპერტების (უსდ-ების წარმომადგენლების/სხვ.) მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების ეტაპზე, არამედ ასევე ამ პროცესის დასრულების შემდგომაც, რაც ხელს შეუწყობს მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენა-დადასტურებას“.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)-

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
----------------------	---------------------

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასტერში გაერთიანებული სამი პროგრამის (ინგლისური ფილოლოგია, გერმანური ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია) მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის მისიაა კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა” (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისია. <https://www.sou.edu.ge/content/2/4/0/0/0>).

აღნიშნული პროგრამების მიზნები ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს. პროგრამებს, წარმოდგენილი შინაარსით, აქვთ პოტენციალი მოამზადონ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან დასაქმების ბაზარზე.

პროგრამები ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიურ ჩართვაზე. ბუნებრივია, უნივერსიტეტი აცნობიერებს მუდმივ რეჟიმში ამ კუთხით განვითარების საჭიროებას და პარტნიორობის გაფართოებას, პროგრამებში ჩართულ პერსონალს და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. გასაუბრების დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა აქტიური

მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში და გაცლით პროგრამებში. თუმცა, ასევე გამოიკვეთა სტუდენტების მხრიდან პასიურობა ისარგებლონ მსგავსი შესაძლებლობებით (დეტალური ინფორმაცია იხილეთ სტარდარტი 3.1-ში).

პროგრამების ხელმძღვანელების განცხადებით, პროგრამები შედგენილია უცხო ქვეყნის ანალოგების და საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების ანოლოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. შედარების ანალიზის დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია უცხოურ უნივერსიტეტებთან დადარების შესახებ, თუმცა არაა გავრცობილი ანალიზი ქართულ ბაზარზე მოქმედი პროგრამებთან შეპირისპირების მიზნით. მნიშვნელოვანია ბენჩმარქინგის დოკუმენტი იყოს უფრო სრულყოფილი, მკითხველს აწვდიდეს ამომწურავ ინფორმაციას საქართველოში მოქმედი ანოლოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის შესახებ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა მისიასთან. ისინი აცნობიერებენ პროგრამების საჭიროებას და გამოთქვამენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ პროგრამების განვითარებას, სტუდენტების მოტივაციას და მაღალ-კვალიფიციური აკადემიური პერსონალის სწავლების პროცესში ჩართვას.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია პროგრამის სასწავლო გეგმისა (კურსკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

ითვალისწინებს რა უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი, რომელსაც ექნება ზოგადფილოლოგიური და დარგობრივი კომპეტენციების ფართო ცოდნა; ასევე, განუვითაროს ინგლისური ენის ცოდნა ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენების სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტის (The Common European Framework of Reference for Languages) მოთხოვნების მიხედვით B2+ დონეზე (ზღვრული განვითარებული, გაძლიერებულ საფეხური), რაც გულისხმობს შესაბამისი დონის კომუნიკაციური კომპეტენციების (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი), ენობრივი სისტემის ასპექტების (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა) დაუფლებას, ასევე კრიტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და განუვითაროს სტუდენტს მომავალი საქმიანობის განსახორციელებლად, ინტერკულტურული კომპეტენციის, ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებული კულტურის აღქმის უნარი (გვ. 20. თვითშეფასების დოკუმენტი).

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი უმეტესად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს (რიგ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული მოსაზრება, რომელსაც განვიხილავთ 1.4 და 1.5 სტანდარტში).

წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს მოამზადოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისია. <https://www.sou.edu.ge/content/2/4/0/0/0>).

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის შედეგებითა და ანალიზით. პროგრამის დასაქმების ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ძირითადად საქმდებიან სკოლებში, ენების ცენტრებში, თარჯიმანთა ბიუროებში და კერძო რეპეტიტორად (გვ. 21. დასაქმების ბაზრის კვლევა - ინგლისური ფილოლოგია).

პროგრამის შემუშავებისას, ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზის (ბენჩმარკინგი) დოკუმენტის მიხედვით, მოხდა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილების დადარება.

კერძოდ, გათვალისწინებული იქნა უცხოური სამი უნივერსიტეტის - ვილნიუსის უნივერსიტეტის (ლიეტუვა), დაუგავპილსის უნივერსიტეტისა (ლატვია) და ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის (ლიეტუვა, კაუნასი) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები. პროგრამებთან დადარების ანალიზის (ბენჩმარკინგი) დოკუმენტში აგრეთვე იკითხება, რომ „საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტებიდან ინგლისური ფილოლოგიის მსგავსი პროგრამა გააჩნია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და სხვა უნივერსიტეტებს, რომლებიც ამზადებენ ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრებს“ (გვ. 11. პროგრამებთან დადარების ანალიზის (ბენჩმარკინგი) დოკუმენტი), თუმცა ამ ჩანაწერის გარდა, ფაქტობრივად, არ იკითხება/არ ანალიზდება ამ პროგრამების მსგავსება/განსხვავებები, საუკეთესო პრაქტიკა და ა.შ.

ინტერნაციონალიზაციის ასპექტები იკვეთება პროგრამაში ჩართული პერსონალის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობით და გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც, რაც მათთან ინტერვიუებისას და მოწოდებული დოკუმენტებითაც (ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) დადასტურდა.

ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაციის (გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები) გათვალისწინებით იკვეთება, რომ პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტები მეტ-ნაკლებად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში; მაგალითად, 2016-2017 წლებში სამმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა Erasmus + ის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში ლიეტუვას შიაულაის უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის შემდეგ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არცერთ სტუდენტს მიუღია მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.

პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - <https://www.sou.edu.ge/>.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)⁶

კლასტერში (კოდი 0231) გაერთიანებული გერმანული ფილოლოგიის (0231.1.3) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა გერმანული ენისა და ლიტერატურის ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობის, განვითარების ტენდენციების, ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი პრინციპებისა და მეთოდების შესახებ. საბაკალავრო (დეტალური სფერო 0231-ენის დაუფლება) ზოგადფილოლოგიური და დარგობრივი სასწავლო კურსების შედეგად მიღებული თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების საფუძველზე ხელი შეუწყოს სტუდენტს როგორც სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებაში, ისე დასაქმებაში. საბაკალავრო პროგრამის დეტალური სფეროს ფარგლებში სტუდენტმა მიაღწიოს ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისად ენის სრულ B2 დონეს. აღნიშნულის განსახორციელებლად, პროგრამაში ნათლად არის კონკრეტული მიზნები ჩამოყალიბებული, რომლებიც რეალური, მიღწევადი და გაზომვადია. კურიკულუმი თანხვედრაშია პროგრამაში განსაზღვრულ მიზნებთან და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს. პროგრამაში მეტწილად გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაქმების ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა გერმანული ენის პრაქტიკულ კურსებზე. პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა უცხოური გამოცდილება. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დადარდა ვალადოლიდის უნივერსიტეტის, ადამ მიცკევიჩის სახელობის პოზნანის უნივერსიტეტის, ვილნიუსის, დიუსელდორფისა და ლატვიის უნივერსიტეტების გერმანული ფილოლოგიის პროგრამებს. აღნიშნული დოკუმენტი არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ანალოგიური პროგრამების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს და ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე-კურსებში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია აქტუალური გერმანულენოვანი სახელმძღვანელოები, აკადემიური პერსონალი იღებს მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, ვორშოპებსა და გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან. გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა არის საჯარო და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე : <https://www.sou.edu.ge/>

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

კლასტერში ჩართული რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) ახალია, რომლის განხორციელების მოტივად დასახელებულია აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა და თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილების მხარდაჭერა შუამავალი რუსული ენის საშუალებით, მულტიკულტურულ სამყაროში ენების ფლობის რუსული კულტურის მნიშვნელობის ხაზგასმით. პროგრამის

⁶ აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

მიზანია, კურსდამთავრებულს მისცეს ფართო ცოდნა რუსული ფილოლოგიის, კერძოდ, რუსული ლიტერატურის ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების, თეორიების, პრინციპების, ტენდენციების შესახებ, განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და საბაზისო კვლევითი უნარები. საბაკალავრო პროგრამის დეტალური სფეროს ფარგლებში სტუდენტმა მიაღწიოს ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისად რუსული ენის სრულ B2 დონეს. აღნიშნულის განსახორციელებლად ჩამოყალიბებული მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია.

პროგრამის კურიკულუმი თანხვედრაშია პროგრამაში განსაზღვრულ მიზნებთან და ეხმიანება უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, ასევე ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ბაზრის კვლევის შედეგები ასახულია პროგრამაში როგორც რუსული ენის პრაქტიკული საათების რაოდენობის განსაზღვრით, ასევე არჩევით კურსებში დარგობრივი რუსული ენის შეთავაზებით, რაც რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე. პროგრამის ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს სილაბუსებში დასახელებული აქტუალური სამეცნიერო წყაროები, პროგრამაში ჩართული უცხოელი მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება - უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგია დადარდა პლოდოვის, ახალი ბულგარული, ვილნიუსის, პოზნანის ადამ მიკვევიჩის, დუგავჰილისის, პექსის უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამებს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან/კოლეგებთან, მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ვორკშოპებში. რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა არის საჯარო და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე : <https://www.sou.edu.ge/>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია);
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- ბენჩმარკინგი;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან;
- საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმები;
- გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის განვითარების მხარდამჭერ ტრენინგებსა და სემინარებში ჩართულობის ნუსხა;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018 წლის 13 ივლისის 05/01-435 დადგენილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დადგენილება 05/01-541, 08.08.2019);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://www.sou.edu.ge/>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის

შეფასება⁷

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები				
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

⁷ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული სამივე პროგრამა შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერის და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამების სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება მიზნებს. ინგლისური, გერმანული და რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები ითვალისწინების სტუდენტებისთვის ზოგადფილოლოგიური და დარგობრივი კომპეტენციების ფართო ცოდნის მიცემას თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზის საფუძველზე.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენების სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოდოკუმენტის (The Common European Framework of Reference for Languages) მოთხოვნების B2+ დონეზე სტუდენტების გაყვანას, ხოლო გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები - B2 დონის მიღწევას. სამივე პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტები შეძლებენ მეორე უცხო ენის B1 დონეზე ათვისებას და ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და უმეტესად მიღწევადი და რეალისტურია სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით. პროგრამების სწავლის შედეგები პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების საფუძველზე ფასდება შიდა საუნივერსიტეტო წესის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება როგორც კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, ისე პროგრამის მიზნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია.

სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს

დარგობრივ მახასიათებლებს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და უმეტესად მიღწევადი და რეალისტურია სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიცირების პროცესი და პროგრამათა დაჯგუფების განმაპირობებელი ასპექტები (გვ. 8. თვითშეფასების ანგარიში).

ინტერვიუებისას (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები) გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის პროცესში. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ამ პროცესში ჩართულნი არიან პირდაპირი კომუნიკაციისა და უკუკავშირის ფორმით; იგივე დაადასტურეს დამსაქმებლებმა და სტუდენტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულები საქმდებიან მასწავლებლებად, სააკრედიტაციოდ არ ყოფილა წარმოდგენილი მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, რომლებშიც განსაზღვრული იქნებოდა თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მითითებულია პროგრამაში და უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამაზე სწავლის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება გერმანული ფილოლოგიის როგორც ენათმეცნიერული, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი დარგების აღწერა, სხვადასხვა ფილოლოგიურ დისციპლინაში გამოყენებული მიდგომების, მეთოდებისა და პრინციპების ჩამოყალიბება, ენობრივი მოვლენების სხვადასხვა თავისებურების, გერმანული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ძირითადი ეტაპების განმარტება, ლიტერატურული ჟანრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ჩამოყალიბება, საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების აღწერა და გერმანულენოვან ავტორთა შემოქმედებაში საქართველოს თემის გაანალიზება, გერმანული ენის ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2.2 დონეზე და სხვა უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული ან რუსული) B1.2 დონეზე გამოყენება, გერმანულ ენაზე აქტუალური და აკადემიური წყაროების მოძიება და გამოყენება, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების აღიარება, ინტერესების განსაზღვრა, ასევე ინტერდისციპლინალურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზება.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი (ნაშრომები, დავალებები, ტექსტები, პრეზენტაცია, ესე, რეფერატი, გამოცდა, პრაქტიკის ანგარიში, ღია და დახურული კითხვები), ისე არაპირდაპირი (სტუდენტების თვითშეფასება/გამოკითხვა, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის გამოკითხვა, სტუდენტების უკუკავშირი) მეთოდების საფუძველზე.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება, ერთი მხრივ, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონეს, მეორე მხრივ, გერმანული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია.

სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და მიღწევადია და რეალისტურია სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიცირების პროცესი და პროგრამათა დაჯგუფების განმაპირობებელი ასპექტები (გვ. 8-9, 11. თვითშეფასების ანგარიში).

ინტერვიუებისას (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები) გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის პროცესში. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ამ პროცესში ჩართულნი არიან პირდაპირი კომუნიკაციისა და უკუკავშირის ფორმით; იგივე დაადასტურეს დამსაქმებლებმა და სტუდენტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულები საქმეებიან მასწავლებლებად, სააკრედიტაციოდ არ ყოფილა წარმოდგენილი მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, რომლებშიც განსაზღვრული იქნებოდა თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2);
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია უნივერსიტეტს/დეპარტამენტს გაფორმებული ჰქონდეს მემორანდუმები დასაქმების რელევანტური სფეროების წარმომადგენლებთან, მათ შორის, ენათა ცენტრთან, კერძო თუ საჯაროს სკოლასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი.

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც არის საუნივერსიტეტო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი და დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ. მოწოდებული დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, იკვეთება, რომ პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმებით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიაზრებს სტუდენტების მიერ შესრულებულ სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის დავალებებს, ნაშრომებს, ნაწერებს, რომლების მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგებს (პრეზენტაცია, ესე, საკვალიფიკაციო ნაშრომი, რეფერატი, გამოცდა, პრაქტიკის ანგარიში, ღია/დახურული კითხვა და სხვ).

არაპირდაპირი მეთოდებიდან გამოიყენება სტუდენტების თვითშეფასება/გამოკითხვა სპეციალური კითხვარების მეშვეობით, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი მეთოდების შეფასებისას სასწავლო კურსები ფასდება იმავე სემესტრში დასრულებისთანავე, არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით - პროგრამის სრული ციკლის (4 წელი) დასრულების შემდეგ მე-5 წელს.

პროგრამების თითოეულ სწავლის შედეგს განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტნაკლებად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; თუმცა, გასაუმჯობესებლად დროს აკადემიურ და მოწვეული პერსონალი ვერ საუბრობდა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ, ვერ მოჰყავდათ კონკრეტული მაგალითები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აწყობს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების შედეგის, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, იძლევა მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს და ინსტრუქციებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში:

1. პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების მოდიფიცირებას;
2. კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო საათების ცვლილებას;
3. სასწავლო კურსების ამოღება/დამატებას;
4. სასწავლო კურსების სტატუსის და/ან თანმიმდევრობის შეცვლას;
5. სასწავლო კურსების პრერეკვიზიტების გადახედვას;
6. სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების გადახედვას და რელევანტური მეთოდების შერჩევას;
7. ბენჩმარკინგის ხელახალ ჩატარებას (ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან დადარებას);
8. კოლეგიალურ შეფასებას (პროგრამის გარე ექსპერტიზის ჩატარებას);
9. აკადემიური მოსწრების ანალიზის გეგმიურ ჩატარებას;
10. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ტენდენციების ანალიზს და სხვა.

სილაბუსებში მოცემული შეფასების კრიტერიუმები შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის მოცემულია საგნის მახასიათებელთა გათვალისწინებით და პუნქტებად არის წარმოდგენილი მათი ქულობრივი შეფასების კრიტერიუმები.

სხვადასხვა კურსების ფარგლებში მოცემული შეფასების მეთოდები, უმეტეს შემთხვევაში, არ არის ვარიაციული ხასიათის და უნიფიცირებულია.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის დადარება უცხოური ქვეყნების უნივერსიტეტების ანალოგებთან დადებითი პრაქტიკაა (იხილეთ 1.1), თუმცა მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტის თავისებურების გათვალისწინებით მიზნით, სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული იყოს საქართველოში მოქმედი უმაღლესი დაწესებულებების მიერ განხორციელებული ანალოგიური პროგრამები. მაგალითად, პროგრამებთან დადარების ანალიზის (ბენჩმარკინგი) დოკუმენტში აგრეთვე იკითხება, რომ „საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტებიდან ინგლისური ფილოლოგიის მსგავსი პროგრამა გააჩნია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და სხვა უნივერსიტეტებს, რომლებიც ამზადებენ ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრებს“ (გვ. 11. პროგრამებთან დადარების ანალიზის (ბენჩმარკინგი) დოკუმენტი), თუმცა ამ ჩანაწერის გარდა, ფაქტობრივად, არ იკითხება/არ ანალიზდება ამ პროგრამების მსგავსება/განსხვავებები, საუკეთესო პრაქტიკა და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას გერმანული და რუსული ფილოლოგიის პროგრამების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობა. აღნიშნული საკითხი, ამ ეტაპზე არ ვრცელდება რუსული ფილოლოგიის პროგრამაზე, რადგან პროგრამა ახალია.
- რეკომენდებულია განხორციელდეს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების სრულყოფილი ანალიზის წარმოდგება

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ფილოლოგია, ბაკალავრიატი)				
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია) შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად.

პროგრამების შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მითითებულია სამიზნე ენის სავალდებულოდ ჩაბარება და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის აუცილებლობა; კერძოდ, სტუდენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა გადალახოს 25%+1 ბარიერი სამიზნე ენაში. ზოგადად, ინგლისური, გერმანული ან რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა:

- უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/რუსული) ჩაბარება. მინიმალური კომპეტენციის ზღვრი - არანაკლებ 25+1 %;
- ქართული ენა და ლიტერატურის ჩაბარება;
- ისტორიის ან ლიტერატურის ჩაბარება.

უნდა ღინიშნოს, რომ პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, დაინტერესებული პირების მხრიდან მიღებული უკუკავშირს, უცხოურ ანალოგებს და მათი დადარების შედეგებსა (რიგ შემთხვევაში დასაბარებელი პროგრამების რაოდენობა მცირეა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად ვისაუბრებთ ინდივიდუალური პროგრამების აღწერისა და ანალიზის ნაწილში) და კოლეგიალურ შეფასებებს.

პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და ენის დაუფლების დარგობრივ სტანდარტთან.

სამივე პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია სამიზნე ენის საბაკალავრო საფეხურისთვის რელევანტური დონის მიღწევაზე ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად; კერძოდ, ინგლისურ ფილოლოგიაში კურსდამთავრებულმა უნდა მიაღწიოს B2+ დონეს, ხოლო გერმანულ და რუსულ ფილოლოგიაში - B2 დონეს.

გარდა ამისა, სამივე პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ერთნაირ თავისუფალ სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს 60 კრედიტის ფარგლებში, მათ შორის სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა აირჩიონ დამატებითი (minor) პროგრამები 48 კრედიტის მოცულობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს შეესაბამება. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება ეხმიანება კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 სემესტრი, მოიცავს 240 (ECTS) კრედიტს, ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა. 1 სემესტრის მანძილზე - სტუდენტი აგროვებს საშუალოდ 30 კრედიტს, პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა (გვ. 35. თვითშეფასების ანგარიში).

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 24 ECTS კრედიტი ეთმობა ენის დაუფლების ყველა სტუდენტისთვის საერთო თავისუფალ სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 156 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს (ინგლისური ფილოლოგიის) სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის (სავალდებულო 140 კრედიტი და არჩევითი სასწავლო 16);
- 48 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი (minor) პროგრამის არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე სსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც, გარდა რეგულირებადი საბაკალავრო პროგრამებისა;
- 12 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ სასწავლო კურსებს.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები უმეტესად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანს (საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირება) ეხმიანება.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვისათვის საჭირო კვლევითი უნარები სხვადასხვა კურსის ფარგლებში მეტნაკლებად იფარება და შესაბამისად, მეტნაკლებად ქმნის ლოგიკური განვითარების ჯაჭვს, რაც დასტურდება დოკუმენტების ანალიზის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე.

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმას (კურიკულუმი) მიხედვით, სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლას იწყებენ ინგლისური ენის B1.1 დონიდან (საგანი - ინგლისური ენა 1 (B1.1), ENGL B001). უნდა აღინიშნოს, რომ „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს მინიმალური ზღვარი ინგლისური ენაში, სადაც პოტენციურმა სტუდენტმა უნდა მიიღოს 25% + 1 ქულა აღნიშნულ ენაში (ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს არ სთავაზობს “placement test”-სინგლისურ ენაში, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრებოდა სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია და ის სტუდენტები, რომლებსაც აქვთ, პირობითად, B1/1 დონის ენობრივი კომპეტენცია ინგლისურ ენაში, არ იქნებოდნენ ვალდებული გაეცლოთ ეს დონე თავიდან.

ექპერტთა მიერ პროგრამის შეფასებისას ისევე, როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრული განლაგებისას დაცულია საგანთა წინაპირობი რელევანტურად.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ისინი მეტ-ნაკლებად იცნობენ პროგრამის სპეციფიკასა და ადმინისტრირების დეტალებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამა შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი) ნაწილდება შემდეგნაირად: 42 ECTS განკუთვნილია ენის დაუფლების ყველა პროგრამის სტუდენტისათვის საერთო თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის. 138 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს გერმანული ფილოლოგიის სავალდებულო და არჩევითი კურსებისათვის (118 ECTS სავალდებულო+20 ECTS არჩევითი კრედიტი). 48 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია დამატებითი პროგრამის (Minor) არჩევა. 12 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლების მიზნებსა და შედეგებთან.

სასწავლო კურსები და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ბმავს ერთმანეთს და რელევანტურია, კერძოდ, კურსი: *გერმანული ენის ლექსიკოლოგია* ისწავლება საბაკალავრო საფეხურის მესამე სემესტრში და კურსზე დაშვების წინაპირობას

წარმოადგენს A2.1, თუმცა სილაბუსში მითითებული გერმანულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა ზემოთ აღნიშნული ენის დონის კომპეტენციისთვის მეტნაკლებად რელევანტურია. გერმანული ენის თეორიულ ბლოკში ისწავლება როგორც გერმანული ენის ლექსიკოლოგია, ისე გერმანული ენის სიტყვაწარმოების საფუძვლები, ეს უკანასკნელი კი ლექსიკოლოგიის სფეროს/ქვედარგს წარმოადგენს.

პროგრამის სილაბუსებში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურად მითითებულია გერმანულენოვანი, აქტუალური წყაროები/სახელმძღვანელოები და სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილი ძირითადად გერმანულ ენაზეა შედგენილი. პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა უცხოური გამოცდილება, კერძოდ, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დადარდა ვალადოლიდის უნივერსიტეტის (ესპანეთი, თანხვედრა 66,7% <https://universityofvalladolid.uva.es>), ადამ მიცკევიჩის სახელობის პოზნანის უნივერსიტეტის (პოლონეთი, 65,8% თანხვედრა- http://germanistyka.amu.edu.pl/pl/images/studia_stac/plany_studiow/21-22/21_22_plan_studiow_fil.germ.pdf), ვილნიუსის უნივერსიტეტის (ლიეტუვა, 53,6%- <https://www.vu.lt/en/studies/bachelor-and-integrated-studies/german-philology#programme-structure>), დიუსელდორფის უნივერსიტეტის (გერმანია, 56,7%- http://www.philo.hhu.de/fileadmin/redaktion/Fakultaeten/Philosophische_Fakultaet/ALLGEMEIN_Dateien/Auslaufordnungen/Bachelor/StO-BA-Germanistik-KF_EF-071221.pdf) და

ლატვიის უნივერსიტეტის (52,2%- https://www.lu.lv/en/studies/study-process/courses/programme-search/?tx_lustudycatalogue_pi1%5Baction%5D=detail&tx_lustudycatalogue_pi1%5Bcontroller%5D=Course&tx_lustudycatalogue_pi1%5Bprogram%5D=22543&cHash=10ff91e27a01c4cdbf46c3b56ce01354) გერმანული ფილოლოგიის პროგრამებს.

უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ამჟამად ხელმისაწვდომია SCOPUS-ის სამეცნიერო ბაზა. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება EBSCO და J-STORY-ის ბაზების დამატებასთან დაკავშირებით. საბაკალავრო ნაშრომების დათვალიერებისა და სტუდენტებთან/კურსდამთვარებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის, რომ სამეცნიერო ბაზით სარგებლიანობისა და ცნობადობის დონე პროგრამაზე დაბალია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით.

პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 8 სემესტრს, თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა არის 20 კვირა, ხოლო ერთი კრედიტი- 25 საათი. 8 სემესტრის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს ჯამში 240 (ECTS)კრედიტს, ამათგან

- 42 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომელთაგან უცხო ენებს (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული) ეთმობა - 18 კრედიტი.
- 138 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს (რუსული ფილოლოგიის) სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის (სავალდებულო 122 კრედიტი, არჩევითი 16 კრედიტი);

- 48 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი (minor) პროგრამის არჩევა.
- 12 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ სასწავლო კურსებს.

პროგრამის კურიკულუმის თანახმად, საბაკალავრო საფეხურზე რუსული ენის შესწავლა იწყება A2.1 დონიდან და საფეხურის დასრულებამდე სტუდენტი აღწევს სრულ B2 დონეს. პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული დასახელებული მხარეები ჩართული და მათი რჩევები, მოთხოვნები უმეტესწილად აისახა პროგრამის სტრუქტურაში, რაც ვლინდება იმაში, რომ პროგრამა მოიცავს რუსული ენის თეორიულ, პრაქტიკულ და ლიტერატურულ ბლოკს და ამით, ერთი მხრივ, ბმაშია პროგრამის მიზნებთან და , მეორე მხრივ, ითვალისწინებს პროგრამით დაინტერესებული მხარეების ინტერესებს და თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს სტუდენტებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

სასწავლო კურსები და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ბმაშია ერთმანეთთან და რელევანტურია. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით სოხუმის უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის პროგრამა დადარდა პლოდოვის, ახალი ბულგარული, ვილნიუსის, პოზნანის ადამ მივევიჩის, დუგავკილსის, პეკსის უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამებს და გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილება.

პროგრამა არის საჯარო და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე : <https://www.sou.edu.ge/>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტელურად დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამების რეაკრედიტაციაზე წარსადგენად შექმნილი თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.
- პროგრამების სილაბუსები
- კურიკულუმების რუკები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- გაცვლითი სტუდენტებისა და პროგრამების ბაზა
- ინტერვიუ
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://www.sou.edu.ge/>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: რეკომენდებულია სტუდენტების განაწილება მოხდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით უცხოურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლა დაიწყოს იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან.

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: რეკომენდებულია სტუდენტების განაწილება მოხდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით უცხოურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლა დაიწყოს იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან.

რჩევები:

- კურიკულუმს დაემატოს დარგობრივი გერმანული ენის კურსი/ები (იურიდიული გერმანული, ბიზნესგერმანული), რაც დასაქმების ბაზარზე გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას გაზრდის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია:

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამების შინაარსობრივი კუთხით საკმაოდ მრავალფეროვანია, სამივე პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კარგად დაბალანსებულ პრაქტიკურ და თეორიულ სასწავლო კურსებს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერისა და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

სამივე პროგრამაში კრედიტ ქულების გადაწილება ლოგიკურია და შეესაბემა პროგრამის სპეციფიკას, შინაარსს. პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, გასაუბრების დროს, აღნიშნავენ რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტ ქულების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობდნენ კურსის კომპლექსურობის, შინაარსის და კურსის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილებით. შესაბამისად, რიგ კურსებში გაზრდილია საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც ასევე მოთხოვნილი იყო სტუდენტების მხრიდან.

პროგრამების სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში მნიშვნელოვანია გადაიხედოს თეორიული საგნების შინაარსი თუ სემესტრული გათვალისწინება, რათა სტუდენტები გავიდნენ შედეგებზე შესაბამისი აკადემიური მოსწრებით (იხილეთ მსჯელობა პროგრამების მიხედვით). ასევე, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბემა სწავლის შედეგებს, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით (იხილეთ მსჯელობა პროგრამების მიხედვით). საჭიროა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოშავებაზე მეტი აქცენტირება, განსაკუთრებით უცხოური ენების შესწავლის პროცესში. ასევე, ვინაიდან სტუდენტებს სწავლის ბოლო სემესტრში ევალუაბათ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, სასურველია კვლევის ცაკცეული კომპონენტების (მცირე დონით) ინტეგრირება სხვადასხვა სასწავლო კურსის შინაარსში.

სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკურადაა დალაგებული (იხილეთ მსჯელობა პროგრამების მიხედვით). პროგრამების მიხედვით მნიშვნელოვანია შეთავაზებული ლიტერატურის გადახედვა და/ან რიდერების მომზადება, განსაკუთრებით თეორიული კურსების შემთხვევაში. გარკვეულ შემთხვევებში უცხოურ ენოვანი ლიტერატურა რთულია სტუდენტებისთვის, რაც დასტურდება გასაუბრებით თუ 2017-2021 წლების საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის „საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. დოკუმენტის მუხლი 2 ითვალისწინებს, რომ საბაკალავრო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. აქვე მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელობისთვის საჭირო კრიტერიუმები. შესაბამისად, ვინაიდან ინგლისური ენის ფილოლოგია განსაკუთრებით მოთხოვნადია ფაკულტეტზე (აღნიშნული დასტურდება მიღებული სტუდენტების

რაოდენობით, ასევე გასაუბრების შედეგებით), სასურველია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი პროგრამის შინაარსობრივი და ადმინისტრაციული საკითხების სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამა შედგენილია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერისა და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი მრავალფეროვანია და წარმოადგენს პრაქტიკული და თეორიული საგნების კარგ ბალანსს. ამავდროულად, პროგრამაში უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ლიტერატურისა და ენის თავისებურების/განვითარების/ასპექტების შესახებ. საერთო ჯამში, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 (ECTS) კრედიტი, რომელიც შედგება შემდეგი ბლოკებისგან: (1) ენის დაუფლების პროგრამების საერთო თავისუფალი სავალდებულო კურსები (24 კრედიტი); (2) ძირითადი სწავლის სასწავლო კურსები (156 კრედიტი, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 140 კრედიტი, ინგლისური ენის პრაქტიკული ბლოკი - 57 კრედიტი, ინგლისური ენის თეორიული ბლოკი - 23 კრედიტი, დარგობრივი ლიტერატურის ისტორია - 20 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 6 კრედიტი); (3) ძირითადი საწვლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (16 კრედიტი). აღსანიშნავია, რომ არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტებს შეთავაზებული აქვს 11 სასწავლო კურსი, მათ შორის დარგობრივი ინგლისურის მიმართულებით, რაც საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანია სტუდენტებისთვის.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა), რომლის გაცნობის, ასევე სილაბუსების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასუროთ პროგრამის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა. თითოეული სასწავლო კურსი გადის სამ დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). გაღრმავების დონის სასწავლო კურსებით ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს „საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი: 2017-2021“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები (გულისხმობს პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობრივ მაჩვენებლებს; პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივ მაჩვენებლებს; პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, სხვა სპეციალობით დასაქმებას ან დაუსაქმებლობის მაჩვენებელს; სასწავლო კურსის შეფასებას და სამიზნე ნიშნულებს). ასევე, წარმოდგენილია აკადემიური მოსწრების ანალიზის (2017-2021) დოკუმენტი, რომელიც კარგ სურათს იძლევა პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მოცემული დოკუმენტით იკვეთება, რომ სტუდენტების უმეტესობას უჭირთ თეორიული საგნების შესწავლა. მაგალითად, ინგლისურის ენის სტილისტიკაში, რომელიც განმტკიცების დონით გადის პროგრამის პირველ შედეგზე, სტუდენტების 45% იღებს D შეფასებას, 18% - B და 0% - A. ინგლისურის ენის ისტორიაში (გადის პროგრამის პირველ შედეგზე განმტკიცების დონით) სტუდენტთა 0% გადის A შეფასებაზე, 27% - B და 36% C-ზე. თეორიული გრამატიკაში (გადის პროგრამის პირველ შედეგზე განმტკიცების დონით) სტუდენტთან 11% გადის A შეფასებაზე,

ხოლო 56% - D-ზე. ბოლოს კი, ინგლისური ენის მე-6 დონის კურსზე (აღსანიშნავია რომ ინგლისური ენის მე-7 დონე გადის პროგრამის 11 შედეგიდან 9 -ზე განმტკიცების დონეზე) მხოლოდ სტუდენტთა 9% გადის A შეფასებაზე, 9% - B-ზე და 45% - D-ზე. გასათვალისწინებელია რომ ყველა დასახელებული სასწავლო კურსი მიმდინარეობს სწავლების მე-7 სემესტრში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სტუდენტების უმრავლესობას უჭირს პროგრამის თეორიული საგნების ათვისება. შესაბამისად საჭიროა შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსის, ლიტერატურის და/ან წინაპირობების გადახედვა. აღნიშნული საკითხის მეტად ჩადრმავეების მიზნით, განვიხილოთ დასახელებული საგნების ლიტერატურა. ინგლისური ენის სტილისტიკა ისწავლება ინგლისურ ენოვანი წიგნებით. ვინაიდან სწავლების ამ სემესტრში სტუდენტი ჯერ კიდევ არაა გასული ინგლისური ენის B2 დონეზე, შეთავაზებული ლიტერატურა შესაძლოა რთული იყოს სტუდენტისთვის. ასევე, თეორიული გრამატიკის შემთხვევაში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ინგლისურ ენოვანია. წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტით სტუდენტი აღნიშნულ საგანს გადის სწავლის მე-4 სემესტრში, შესაბამისად, მას ვერ ექნება შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია თეორიული ინფორმაციის დასამუშევლად და აღსაქმელად. ასევე, სილაბუსის კვირეული დატვირთვა მიუთითებს რომ სტუდენტს რამდენიმე წიგნიდან აქვს მოსამზადებელი მასალა. იგივე შენიშვნაა კურსთან „ინგლისური ენის ისტორია“, რომელიც ისწავლება მე-5 სემესტრში. ინგლისური ენა 6 (B2+) შეთავაზებულია მე-7 სემესტრში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილება, ასევე მომზადდეს რიდერები სტუდენტებისთვის, რაც საშუალებას მისცემს მათ უკეთ აითვისონ თეორიული ინფორმაცია. აღწერილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა.

თოთოეული სასწავლო კურსის შინაარსი მეტწილად შეესაბამება ამავე კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მეტად კრიტიკულად გადახედვა. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ზეპირი მეტყველების უნარებზე აქცენტირება, რაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო კურსის შინაარსით, ასევე შეფასების კრიტერიუმებით (იხილეთ სტანდარტი 2.4).
- ლათინური ენა: გასაუბრების პროცესში, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა რომ კურსის ძირითადი შედეგია სტუდენტმა აღიქვას/გაანალიზოს ლათინური ენის გავლენა ინგლისური ენის განვითარების ისტორიზე. თუმცა, სწავლის შედეგები ძირითად ლათინური ენის ცოდნაზეა ორიენტირებულია. მიგვაჩნია, რომ კურსის შინაარსი სწორედ აკადემიური პერსონალის მიერ განსაზღვრულ შედეგზე გადის, შესაბამისად საჭიროებს გადახედვას.

პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობები მეტწილად ლოგიკურადაა დალაგებული. პროგრამაში არის რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა გათვალისწინება სასურველია. მაგალითად: სასწავლო კურსის „ ლიტერატურის ისტორია“ წინაპირობაა მხოლოდ „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, თუმცა კურსის შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით (სტუდენტმა უნდა შეასწროს 10-12 გვერდი ნაშრომი), საჭიროა ასევე წინაპირობა იყოს „აკადემიური წერა“. ასევე, კურსებს „ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1“ , „ინგლისური ლიტერატურის ისტორია 2“, „ინგლისური ლიტერატურის ისტორია 3“ და „ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ისტორია 4“ შესაძლებელია წინაპირობად ჰქონდეს

სასწავლო კურსი „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“. შესაბამისად, სასურველია თუკი გადაიხადება სასწავლო კურსების წინაპირობები საგნის შინაარსის, სპეციფიკის (როგორცაა შეფასების კომპონენტები) გათვალისწინებით.

პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტ ქულები ლოგიკურად და გააზრებულად არის განსაზღვრული. გასაუბრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აღნიშნავენ რომ კრედიტების მინიჭებისთვის გაითვალისწინებს შესაბამისი კურსის შინაარსი (კომპექსურობა), ასევე კურსის მიმდინარეობის პრაქტიკული გამოცდილება. კურსებში შეთავაზებული ლიტერატურა კრედიტ ქულების დატვირთვის ადექვატურია. ლოგიკურადაა გადანაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო მათი მოთხოვნა, საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნულს ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

სილაბუსებით წარმოდგენილი ლიტერატურა შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სწავლის სფეროს მიღწევებს. თუმცა, სასურველია ლიტერატურის უფრო თანამედროვე ავტორებით ჩანაცვლება (სადაც შესაძლებელია), ასევე რიდერების მომზადება სტუდენტებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გერმანული ფილოლოგიის პროგრამაზე შეფასებულია სწავლის შედეგების მიღწევა, რის საფუძველზეც ხორციელდება კურსის მოდიფიცირება. პროგრამის ხელმძღვანელთა თქმით, სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიცვალა ზოგიერთი კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა. თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობას შორის თავსებადობა რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებს კურსის შინაარს, მიზანსა და სპეციფიკას. აღნიშნული თანაფარდობა ძირითადად დარღვეულია პროგრამაში არსებული ძირითადი მოდულის ლიტერატურულ კურსებში, კერძოდ, დამოუკიდებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი 85 საათი არ შეესაბამება დასამუშავებელი/წასაკითხი მასალის მოცულობას. ზემოთ თქმულის დასასაბუთებლად მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს: კურსებში *გერმანული ლიტერატურის ისტორია 1*, *გერმანული ლიტერატურის ისტორია 3* კურსის შინაარსში ცალკეულ კვირებში სემინარზე განსახილველად მითითებულია რამდენიმე ლიტერატურული ტექსტი ერთდროულად (სარაინდო რომანები: „ერეკი“, ივეინი“, პარციფალი“ ერთ კვირაში, ფრიდრიხ შილერის დრამები: „ყაჩაღები“ , „დონ კარლოსი“ ასევე ერთ კვირაში), რასაც ერთვის კვირის განმავლობაში დასამუშავებელი გერმანულენოვანი სახელმძღვანელოები. აღნიშნული მასალის დამუშავება შესაბამისი კურსების სილაბუსებში მითითებული (85) დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების განმავლობაში არ არის დაძლევადი. ასევე კურსში *გერმანული ლიტერატურის ისტორია 1-ს* არ აქვს კურსზე დაშვების წინაპირობა, სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ნუსხა კი მოიცავს გერმანულენოვან სახელმძღვანელოებს, რომელთა დასამუშავებლად მაღალი ენობრივი კომპეტენციებია საჭირო.

კურსის *გერმანული ფილოლოგიის შესავალი* მიზანს წარმოადგენს სტუდენტს მისცეს ფართო

ცოდნა როგორც გერმანული ენის განვითარების ეტაპების, ვარიაციის ფორმების, ინტერკულტურული გერმანიისტიკის ენათმეცნიერული ასპექტების შესახებ, ასევე გერმანული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული ჟანრების წარმოშობისა და განვითარების, გერმანულენოვანი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ. მიუხედავად კურსში დასახელებული მიზნებისა და შესაბამისი შედეგებისა, სალექციო-სასემინარო თემები ძირითადად მხოლოდ ლინგვისტურ საკითხებს (მე-7 კვირაში დასახელებულია მხოლოდ ლიტერატურული ჟანრები ძველი ზემო გერმანულსა და საშუალო გერმანულ დიალექტებთან ერთად) მოიცავს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება საგნის შედეგებსა და შინაარსს, თუმცა რიგი კურსების შემთხვევაში ენობრივად რთულად დამლევადია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) ახალია. იგი შედგენილია უნივერსიტეტის „საბაკავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი მრავალფეროვანია და წარმოადგენს პრაქტიკული და თეორიული საგნების კარგ ბალანსს. ამავდროულად, პროგრამაში უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ლიტერატურისა და ენის თავისებურების/განვითარების/ასპექტების შესახებ. საერთო ჯამში, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 (ECTS) კრედიტი, რომელიც შედგება შემდეგი ბლოკებისგან: თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 138 კრედიტი (აქედან სავალდებულო -122 და არჩევითი - 16 კრედიტი); 48 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი (minor) პროგრამის არჩევა როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ასევე, უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზე; 12 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი სასწავლო კურსებისთვის. ბოლო ორი მოდელის (48+12) ნაცვლად სტუდენტს შეუძლია მთლიანად 60 კრედიტის დაგროვება ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებით წინაპირობების გათვალისწინებით.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა), რომლის გაცნობის, ასევე სილაბუსების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასუროთ პროგრამის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა. თითოეული სასწავლო კურსი გადის სამ დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). გაღმავების დონის სასწავლო კურსებით ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა.

სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურადაა დალაგებული და შინაარსი ითვალისწინებს. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტ ქულები ლოგიკურად და გააზრებულად არის განსაზღვრული. გასაუბრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აღნიშნავენ რომ კრედიტების მინიჭებისთვის გაითვალისწინებს შესაბამისი კურსის შინაარსი (კომპექსურობა), ასევე კურსის მიმდინარეობის პრაქტიკული გამოცდილება. კურსებში შეთავაზებული

ლიტერატურა კრედიტ ქულების დატვირთვის ადექვატურია. ლოგიკურადაა გადანაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. გასაუბრების დროს სლავისტიკის პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო მათი მოთხოვნა, საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნულს ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დოკუმენტები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია)
- პროგრამის სილაბუსები
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბაკავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა)
- საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი: 2017-2021
- ინტერვიუ

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, პროგრამებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტების ჯეროვნად ათვისების და საბაკალავრო ნაშრობის სათანადო ხარისხით შესრულების მიზნით, გაძლიერდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენება. მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა სტუდენტებში.
- რეკომენდებულია კრიტიკულად გადაიხედოს თეორიული კურსების შინაარსი, წინაპირობები და ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგებზე სათანადო აკადემიური მოსწრებით გასვლა და განსაზღვრული ცოდნის და უნარების გამომუშავება.
- რეკომენდებულია გადაიხედოს კურსების სემესტრული განაწილება. კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია კონკრეტული საგნების მე-6, მე-7 სემესტრზე გადაწილება, როდესაც სტუდენტს მეტად ექნება განვითარებული ენობრივი კომპეტენცია (იხილეთ მსჯელობა არგუმენტირების ნაწილში)
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კრიტიკულად გადახედვა რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა.

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების წინაპირობების გადააზრება საგნის შინაარსის, სპეციფიკის (მაგ. შეფასების კომპონენტები) გათვალისწინებით.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი პროგრამის შინაარსობრივი და ადმინისტრაციული საკითხების სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, პროგრამებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტების ჯეროვნად ათვისების და საბაკალვრო ნაშრობის სათანადო ხარისხით შესრულების მიზნით, გაძლიერდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენება. მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა სტუდენტებში.
- სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განისაზღვროს კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით
- სილაბუსებში მიეთითოს კურსის შინაარსში დასახელებული სასემინარო მხატვრული ლიტერატურა
- კურსებში გაძლიერდეს საბაზისო კვლევითი უნარების განმავითარებელი შეფასების კომპონენტების ხვედრითი წილი (საშინაო ნაშრომები, პროექტები)
- რეკომენდებულია კურსების წინაპირობების განსაზღვრა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: ინგლისური ფილოლოგია, გერმალური ფილოლოგია და რუსული ფილოლოგია სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ქვე-სტანდარტთან მიმარებით.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძნებით და უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო აქტებით შიდა და გარე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით.

სამივე პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას და შინაარსს. შესაბამისად, მათ გააჩნიათ პოტენციური მოიზიდონ სტუდენტები, რომელთაც აქვთ სათანადო ცოდნა თავი გაართვან შეთავაზებულ სასწავლო კურსებს. პროგრამებში აქცენტირებულია უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, რუსულის) პრაქტიკული უნარების განვითარება შესაბამისი სასწავლო კურსების გზით. შესაბამისად, დაშვების წინაპირობაა შესაბამისი უცხოური ენის ჩაბარება, მინიმალური კომპეტენციის ზღვართ 25 +1. აღსანიშნავია, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაწესება პროგრამებისთვის სიახლეა, შესაბამისად განაცხადია უნივერსიტეტის მხრიდან მიიღონ შედარებით მაღალი კომპეტენციის მქონე სტუდენტები. ასევე, პროგრამის დოკუმენტები მოიაზრებს ლიტერატურის და ისტორიის სასწავლო კურსებს. შესაბამისად, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, ისტორიის ან ლიტერატურის ჩაბარება.

ინგლისური, გერმანული და რუსული ფილოლოგიის პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციებია შესაბამისად: „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი“, „გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი“ და „რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი“. სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე სამივე პროგრამის შემთხვევაში. შესაბამისად, პროგრამებით განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია სწავლის საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცხადებული სტუდენტთან ადგილების რაოდენობა (ასევე, მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა) სრულად თანხვედრაშია საუნივერსიტეტო რეგულაციასთან - „სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა მექანიზმი და მეთოდოლოგია; სამიზნე ნიშნულები“.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საიტზე www.sou.edu.ge (საიტზე ატვირთულია პროგრამის დოკუმენტები - ბოლო 2018 წლის თარიღით. ახალი პროგრამების დამტკიცების შემთხვევაში, მოსალოდნელია რომ პროგრამების დოკუმენტები აიტვირთება ახალი რედაქციით ვებ-საიტზე).

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 - ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული. სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შემდეგი საგნების ჩაბარების შემთხვევაში: ინგლისური ენა, მინიმალური კომპეტენციის ზღვართ 25+1. აღნიშნული სიახლეა პროგრამაში, პროგრამა წინა რედაქციით არ აწესებდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსიტეტის მზაობას მიიღოს მეტად კვალიფიციური სტუდენტები; ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია ან ლიტერატურა. იმის გათვალისწინებით რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უცხოური ენის (ინგლისურის) კომპეტენციის B2+ დონის მიღწევას (სასწავლო კურსები იწყება B 1.1 დონიდან), ინგლისური და ამერიკული ლიტერატურისა და ისტორიის კურსების გავლას, თეორიული კურსების შესწავლას, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, აღნიშნული კრიტერიუმი რელევანტურია, რათა სტუდენტმა დაძლიოს

პროგრამის შინაარსი და მიიღოს პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაცია (ინგლისური ფილოლოგია).

პროგრამის დაშვების წინაპირობა თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძნებით და უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო აქტებით შიდა და გარე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში განსაზღვრულია 25 ადგილით. შესაბამისად მიღებული სტუდენტების რაოდენობა სრულად შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციას - „სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა მექანიზმი და მეთოდოლოგია; სამიზნე ნიშნულები“.

პროგრამის დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე: www.sou.edu.ge. ვებ-საიტზე ატვირთული პროგრამის ბოლო დოკუმენტი თარიღდება 2018 წლით, შესაბამისად მოსალოდნელია რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განახლებს პროგრამის დოკუმენტს დაინტერესებული მხარებისთვის. გასაუბრების პროცესში მოქმედი სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. ამას გარდა, მათ მარტივად შეძლეს ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

პროგრამა 2 - გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული. სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შემდეგი საგნების ჩაბარების შემთხვევაში: გერმანული ენა, მინიმალური კომპეტენციის ზღვართ 25+1. აღნიშნული სიახლეა პროგრამაში, პროგრამა წინა რედაქციით არ აწესებდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსიტეტის მზაობას მიიღოს მეტად კვალიფიციური სტუდენტები; ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია ან ლიტერატურა. იმის გათვალისწინებით რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უცხოური ენის (გერმანულის) კომპეტენციის B2 დონის მიღწევას (სასწავლო კურსები იწყება A 2.1 დონიდან), გერმანული ლიტერატურისა და ისტორიის კურსების გავლას, თეორიული კურსების შესწავლას, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, აღნიშნული კრიტერიუმები რელევანტურია, რათა სტუდენტმა დაძლიოს პროგრამის შინაარსი და მიიღოს პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაცია (გერმანული ფილოლოგია).

პროგრამის დაშვების წინაპირობა თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძნებით და უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო აქტებით შიდა და გარე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში განსაზღვრულია 7-5 ადგილით. შესაბამისად მიღებული სტუდენტების რაოდენობა (მოქმედი სტუდენტების რაოდენობა - 3) სრულად შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციას - „სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა მექანიზმი და მეთოდოლოგია; სამიზნე ნიშნულები“.

პროგრამის დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე: www.sou.edu.ge. ვებ-საიტზე ატვირთული პროგრამის ბოლო დოკუმენტი თარიღდება 2018

წლით, შესაბამისად მოსალოდნელია რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განაახლებს პროგრამის დოკუმენტს დაინტერესებული მხარეებისთვის. გასაუბრების პროცესში მოქმედი სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. ამას გარდა, მათ მარტივად შეძლეს ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

პროგრამა 3 - რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ახალი პროგრამაა, შესაბამისად არ ყავს სტუდენტები (უნივერსიტეტში მოქმედებდა საბაკალავრო პროგრამა „სლავური ფილოლოგია“). პროგრამის სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული. სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შემდეგი საგნების ჩაბარების შემთხვევაში: რუსული ენა, მინიმალური კომპეტენციის ზღვართ 25+1; ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია ან ლიტერატურა. იმის გათვალისწინებით რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უცხოური ენის (რუსული) კომპეტენციის B2 დონის მიღწევას (სასწავლო კურსები იწყება A 2.1 დონიდან), რუსული ლიტერატურისა და ისტორიის კურსების გავლას, თეორიული კურსების შესწავლას, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, აღნიშნული კრიტერიუმები რელევანტურია, რათა სტუდენტმა დაძლიოს პროგრამის შინაარსი და მიიღოს პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაცია (გერმანული ფილოლოგია).

პროგრამის დაშვების წინაპირობა თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძნებით და უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო აქტებით შიდა და გარე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით.

მოსალოდნელია რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, „რუსული ფილოლოგიის“ პროგრამის დოკუმენტი განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-საიტზე: www.sou.edu.ge. არსებული პრაქტიკის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დოკუმენტები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია)
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; სამიზნე ნიშნულები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sou.edu.ge
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩე(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია: არ არის

რჩევები: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დამშვების წინაპირობები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამივე პროგრამის სწავლის შედეგები მიზნად ისახავს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და კვლევითი ხასიათის პროექტების განხორციელების ხელშეწყობას. პროგრამებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა მოიზრებს სხვადასხვა ტიპის აქტივობების შესრულებას, როგორცაა, პრეზენტაციების წარდგენა, რეფერატების მომზადება, პრაქტიკული სამუშაოების შესრულება და სხვა. თუმცა, აღმნიშნული კომპონენტების უკეთ აღსაქმელად, საჭიროა სილაბუსებში ინფორმაციის დაზუსტება

შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად განხილულია სტანდარტებში 1.5 და 2.4).

ამას გარდა, სამივე პროგრამის ერთ-ერთ მიზნად დასახელებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ინგლისური ენისა და ლიტერატურის ისტორიაში ან სხვა მიმართულებით. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს საბაზისო კვლევას, დამოუკიდებლად მოიძიებს ლიტერატურას, ახდენს წყაროების რეფერირებას, წარმოადგენს ტექნიკურად და შინაარსობრივად გამართულ საბაკალავრო თემას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროგრამებში არ არის მოცემული სასწავლო კურსი, რომლის გავლის შედეგად სტუდენტი შეიძენს საბაზისო კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს. ინგლისური ფილოლოგიის შემთხვევაში, აკადემიური წერა ისწავლება პირველ კურსზე, თუმცა, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია წერის კულტურის განვითარებაზე და არა კვლევითი უნარების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ასევე ევალებათ რეფერატის მომზადება, თუმცა, არ არის მოცემული რა ტიპის რეფერატი უნდა შეასრულოს სტუდენტმა, ასევე, შეფასების რუბრიკა არ ამახვილებს ყურადღებას კვლევითი უნარ-ჩვევების შემოწმებაზე.

კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების საჭიროება გამოიკვეთა გასაურების დროსაც. სტუდენტები (მე-3 და მე-4 კურსის) ვერ ასახელებენ კონკრეტულ აკადემიურ სტილს, რომელიც შეისწავლეს ან რომლის მიხედვითაც უნდა შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი.

ამას გარდა, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი. შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საბაკალავრო ნაშრომების ხარისხი მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია. ნაშრომებში არაა მსჯელობა კვლევის მეთოდოლოგიაზე, ნაშრომები ძირითადად არაა შესრულებული APA სტილის მიხედვით (სტილი რომელიც უნდა ისწავლებოდეს აკადემიური წერის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსის თანახმად), არ არის გამოყენებული/მოძიებული შესაბამისი ლიტერატურა (ძირითადად მოყვანილია ინტერნეტ რესურსები, გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია, ან უმეტესად რუსულენოვანია), თემებში მოყვანილი არგუმენტაცია და დასკვნები სუსტია. სტუდენტები ნაკლებად იყენებენ სამეცნიერო ბაზებს ნაშრომის შესასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტს არ მოეთხოვება ფართო მასშტაბიანი კვლევის ჩატარება, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, სხვა შედეგებს შორის, პირდაპირ მიუთითებს მცირე კვლევის შესრულების საჭიროებაზე („ახორციელებს კვლევითი ხასიათის პროექტს, მცირე ზომის საბაკალავრო ნაშრომს ინგლისური ენისა და ლიტერატურის ისტორიის ან სხვა მიმართულებით წინასწარ განსაზღვრული მითითებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით საბაზისო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით“).

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებასთან, მათ შორის, პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, წარმოდგენილი პროგრამები არ მოიაზრებს (პროგრამებს არ ევალებათ) პრაქტიკის უზრუნველყოფა, ამიტომ არაა ნათელი როდის შეიძლება ისარგებლონ სტუდენტებმა აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენება. თუმცა, უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული მიმართულებით მუშაობა მნიშვნელოვანია და საინტერესოა პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგი.

საჭიროების შემთხვევაში, ალწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია)
- სასწავლო კურსების სულაბუსები
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების საუნივერსიტეტო ინსტრუქცია
- საბაკალავრო ნაშრომები
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

21. რეკომენდებულია პროგრამებს დაემატოს სასწავლო კურსი კვლევის საბაზისო თეორიების შესწავლისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. ალტერნატივის სახით, მნიშვნელოვანია არსებულ სასწავლო კურსებში აღნიშნული საკითხის მეტად გაძლიერება (მაგ. აკადემიურ წერა). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განხილული იყოს აკადემიური წერის ორი სემესტრის განმავლობაში სწავლება. კვლევითი ელემენტების ინტეგრირება შესაძლებელია სხვა სასწავლო კურსების ფარგლებშიც.

22. რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის ამაღლება. საჭიროა სტუდენტებთან ჩატარდეს სამუშაოები აკადემიურ სტილთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა ჩაატაროს კონკრეტული საინფორმაციო შეხვედრები სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ და აწარმოოს სტატისტიკური მონაცემები ბაზებზე წვდომის/გამოყენების მონიტორინგის .

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია: არ არის

რჩევები: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია და რუსული ფილოლოგია) სრულ შესაბამისობაშია ქვე-სტანდარტის მოთხოვნებთან.

სამივე პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პროგრამებში შემავალი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ასახავს კურსის ინდივიდუალურ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. საერთო ჯამში, სასწავლო კურსების სილაბუსებით გაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას.

გასაუბრების პროცესში პროგრამების აკადემიური პერსონალი ასახელებდნენ კონკრეტულ მეთოდებს, რომლებსაც გამოიყენებენ სწავლების პროცესში, რაც თანხვედრაშია სილაბუსებით გაწერილ ინფორმაციასთან.

ასევე, ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მოქმედი სტუდენტები, ინტერვიუს დროს, საუბრობდნენ კონკრეტულ აქტივობებზე,

რომლებშიც ჩართული იყვნენ ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად. სტუდენტებს უჭირთ განასხვავონ ერთმანეთისგან აქტივობა და სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდი. შესაბამისად, სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა სათანადო დრო დაუთმოს სტუდენტებისთვის სილაბუსის გაცნობას კურსის დასაწყისში, როდესაც იგი შეძლებს აუხსნას მათ კონკრეტული მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება სწავლების პროცესში.

ინგლისური და გერმალური ფილოლოგიის პროგრამების სტუდენტები, ზოგადად, საუბრობენ აკადემიური პერსონალის მზაობაზე უზრუნველყონ სტუდენტზე-ორიენტირებული გარემო. შესაბამისად, ისინი აღნიშნავენ რომ ლექტორი ყოველთვის მზადაა გაითვალისწინოთ მათი შემოთავაზება კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რითაც ასევე ხელმძღვანელობს აკრედიტაციაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები. მუხლი 7-ით გაწერილია პროგრამის კომპონენტები და სწავლის მეთოდები, რაც თანხვედრაშია პროგრამის დოკუმენტებით და სასწავლო კურსებით განსაზღვრულ სწავლება-სწავლის მეთოდებთან. აღნიშნული მუხლი ასევე არეგულირებს ონლაინ/დისტანციული სწავლების პროცესში შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებას. ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ონლაინ სწავლება მიმდინარეობდა შეფერხების გარეშე, აკადემიური პერსონალი გაცილებით მეტად იყენებდა ელექტრონული რესურსებით სწავლების მეთოდს, ვიდრე ეს ხდება ფიზიკურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დოკუმენტი (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია)
- სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამის პროგრამებში
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია აკადემიურმა პერსონალმა, სემესტრის დასაწყისში და/ან საჭირო პერიოდულობით, სათანადო დრო დაუთმოს სილაბუსის სტუდენტებისთვის გაცნობას, როდესაც მიაწოდებს მათ ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია: არ არის

რჩევები: არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია) ნაწილობრივ შესაბამისობაშია ქვესტანდართან მიმართებით, შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით:

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამებით განსაზღვრული შეფასების სისტემა თანხვედრაშია საქართველოს ეროვნულ კანონდემლობასა და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებთან. პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მოთხოვნებს. ამასთანავე, პროგრამებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა რეგულირდება სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. აღნიშნული დოკუმენტის თავი IX - სტუდენტის მიღწევების შეფასება (მუხლი 18, 19, 19¹) განსაზღვრავს შეფასების ფორმებს, კომპონენტებს, და კრიტერიუმებს.

სასწავლო კურსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება შუალედური და დასკვნითი შეფასებით. შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილია 60 ქულა, ხოლო დასკვნითი - 40 ქულა (საერთო ჯამში, 100 ქულა). აღნიშნული მიდგომა უნიფიცირებულია სამივე პროგრამის ყველა სასწავლო კურსში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არის მინიმუმ 15 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების/გამოცდის მინიმალური ზღვარი არის-დასკვნითი დასკვნითი შეფასების 50%. (20 ქულა). შესაბამისად, აღნიშნული მიდგომაც ერთგვაროვანია სამივე პროგრამის ყველა სასწავლო კურსში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსების შესწავლის შედეგად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები, ასევე შეფასების რუბრიკები დასახვეწია რათა უზრუნველყოფილი იყოს, ერთის მხრივ, შესაბამისი სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების სათანადო მიღწევა, მეორეს მხრივ - სტუდენტების სრულყოფილი ინფორმირება მოსალოდნელი დავალებების ტიპის და შეფასების რუბრიკების სიცხადის შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის დასასაბუთებლად, მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ თოთოეული პროგრამიდან რამდენიმე სილაბუსი, რომელთა განზოგადებაც შესაძლებელია დანარჩენ სასწავლო კურსებზე. განხილული მაგალითები შერჩეულია როგორც თავისუფალი სავალდებულო, ასევე, თეორიული და პრაქტიკული ბლოკებიდან.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, აკადემიური წერა:

- პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობისთვის გამოყოფილია 15 ქულა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქულათა რაოდენობა თითქმის ყველა სასწავლო კურსში (ყველა პროგრამაში) უნიფიცირებულია. აქტიურობა ვერ შეფასდება ყველა კვირას, განსაკუთრებით პირველ კვირას, ქვიზის დაწერის და პრეზენტაციის შესრულების კვირას. შესაბამისად, ქულათა რაოდენობა უნდა გადაიხედოს. ამას გარდა, სტუდენტი ვერ შეძლებს რუბრიკით განსაზღვრული კრიტერიუმის, სავარაუდოდ, პირველი 2-3 კვირის განმავლობაში დაკმაყოფილებას (მაქსიმალური შეფასება: სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, შეუძლია მსჯელობა აკადემიური ტექსტის ორგანიზაციისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ, აანალიზებს აკადემიური ნაშრომისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ახერხებს მიზნისათვის შესაფერისი ფუნქციური სტილის შერჩევას, ძირითადი იდეებისა და იდეათა მხარდამჭერი დებულებების წარმოდგენას, არგუმენტისა და კონტრარგუმენტის სწორად ფორმულირებას, ავტორის პოზიციის წარმოჩენას), ვინაიდან მას ვერ ექნება ათვისებული შესაბამისი თეორიული ცოდნა თუ პრაქტიკული უნარები. აღნიშნული მითითება შეეხება ყველა სასწავლო კურსის შესაბამის კომპონენტს.
- შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია პრეზენტაცია, რაც მიგვაჩნია, რომ არ შეესაბემა კურსის მიზანს და სწავლის შედეგებს. აღნიშნული სასწავლო კურსი, ფაქტობრივად, ერთადერთია, რითაც სტუდენტმა შეიძლება, პროგრამის ფარგლებში, ჩამოიყალიბოს წერის უნარ-ჩვევები (აღნიშნული გავლენას ახდენს, საბაკავრო ნაშრომის ხარისხზე) შესაბამისად მნიშვნელოვანია კონცენტრირებულად წერით უნარზე მუშაობა.
- შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია რეფერატი, რომელსაც მხოლოდ 5 ქულა ენიჭება (სწორედ აქ არის შესაძლებელი დამატებითი ქულის გამოყენება), რაც არაა საკმარისი, რადგან ეს არის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისთვის საჭირო ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. სილაბუსში არაა მოცემული რა ტიპის რეფერატი უნდა შეასრულოს სტუდენტმა, როგორი ტექნიკური მახასიათებლებით, არაა მითითება გაკეთებული აკადემიურ სტილზე.
- შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია ქვიზი. სილაბუსში არაა ინფორმაცია მოცემული რა სახის დავალებები უნდა შეასრულოს სტუდენტმა. რუბრიკაში ნახსენებია ნაშრომის სრულყოფილება, მაგრამ არაა გაწერილი რა ტიპის ნაშრომზეა საუბარი. აღნიშნული შენიშვნა შეეხება თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებს.
- დაკვირვებით გამოცდა შედგება 2 ღია და 2 დახურული ტიპის დავალებისგან. თითოეული ფასდება 10 ქულით (ჯამში 40 ქულა). სილაბუსში არაა აღწერილი რა ტიპის პრაქტიკული დავალება ეძლევათ სტუდენტებს (ესე, წერილი, თეზისი, ა.შ.). აქვე, მივიჩნევთ რომ უმჯობესია მეტი აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკულ დავალებებზე, ვიდრე თეორიული ცოდნის შემოწმებაზე, რაც შესაძლებელია ქულათა დიფერენციაციით.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, თარგმანის თეორია და პრაქტიკა

- შეფასების კომპონენტების მიხედვით ძირითადი აქცენტი კეთდება თეორიული ცოდნის შემოწმებასა და წერილობით თარგმანზე, მაშინ როცა სწავლის შედეგები განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ზეპირი თარგმანის შესაძლებლობის განვითარებაზე. ზეპირი თარგმანისთვის შუალედური შეფასების კომპონენტებში გამოყოფილია მხოლოდ 5 ქულა, არაა მითითებული ეს ერთჯერადი

შეფასებაა, ჯამურად 5 ქულით, თუ სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე. ასევე, არაა მითითებული რა ტიპის ზეპირი თარგმანი უნდა შეასრულოს სტუდენტმა (თანმიმდევრული, სინქრონული) და როგორ. შუალედურ გამოცდაზე (30 ქულა) ფასდება მხოლოდ წერილობითი თარგმანი, რაც არაა საკმარისი.

- დასკვნით გამოცდაზე მოცემულია წერილობითი დავალება (20 ქულა) და ზეპირი დავალება (20 ქულა). წერილობითი დავალდება დახურული ტიპის დავალებაა, სადაც ერთი სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება (ამოწმებს თეორიულ ცოდნას). აქვე აღსანიშნავია, რომ სილაბუსში ტექნიკური პრობლემაა, წერილობითი კომპონენტისთვის გამოყოფილია ჯამური 20 ქულა, როცა სტუდენტებს ეძლევა 10 კითხვა (თითოეული ფასდება მაქსიმალური 1 ქულით). დასკვნითი გამოცდის ზეპირი კომპონენტის 4 საკითხიდან, 2 ისევე თეორიულ ცოდნას აფასებს. მხოლოდ 2 კითხვა/დავალება არის პრაქტიკულ უნარების შემოწმებისთვის განკუთვნილი, თუმცა კვლავაც არაა ნათელი რა ტიპის თარგმანს ასრულებს სტუდენტი და როგორ.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, ინგლისური ენა, B2+ დონე (რეკომენდაციების განზოგადება შესაძლებელია პრაქტიკული ბლოკის ყველა სასწავლო კურსზე).

- სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ითვალისწინებს უცხოურის ენის (ინგლისურის) ყველა უნარის (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა) სათანადო დონეზე განვითებას. შუალედური თუ დასკვნითი შეფასების კომპონენტები ძირითადად აფასებენ წერის, კითხვის, მოსმენის უნარს, ხოლო ნაკლებად - მეტყველების უნარს. ერთ-ერთი კომპონენტია პრეზენტაცია (ფასდება 10 ქულით), რომლის რუბრიკის მიხედვით ფასდება პრეზენტაციის დიზაინი (2 ქულა), შინაარსი (5 ქულა) და შესაბამისი ლინგვისტური უნარ-ჩვევებით წადგენა (3 ქულა). რეალურად ზეპირი მეტყველება ფასდება ამ შემთხვევაში მხოლოდ 3 ქულით, რაც არაა საკმარისი.
- შუალედური გამოცდის დროს რეკომენდებულია დაემატოს ზეპირი მეტყველების კომპონენტი. სილაბუსში წარმოდგენილი დავალებებით ფასდება მხოლოდ კითხვა, წერა, გრამატიკა.
- მხოლოდ დასკვნითი გამოცდა მოიცავს ზეპირი მეტყველების კომპონენტს. თუმცა დავალება, რომელიც მოიაზრებს დიალოგის წარმართვას განვლილ მასალაზე დაფუძნებით არაა საკმარისი B2+ დონეზე ენობრივი კომპოტენციის (კომუნიკაციის უნარის) შეფასებისთვის. ვინაიდან პროგრამის დოკუმენტით B2+ დონე დასახელებულია როგორც ენობრივი კომპეტენციის გამომუშავების მაქსიმალურ დონედ, მნიშვნელოვანია დავალებები იყოს შედარებით კომპლექსური, მოიცავდეს დაუგეგმავ მეტყველებას (spontaneous speech/free speech) და/ან სტრუქტურებულ მეტყველებას (extemporaneous speech). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ზეპირი მეტყველების შეფასებისთვის დასკვნითი გამოცდის ჯამური 30 ქულიდან განკუთვნილია მხოლოდ 5 ქულა, რაც არაა საკმარისი, განსაკუთრებით მაშინ როცა შუალედური შეფასების კომპონენტები ძირითადად სხვა უნარებზე გასვლას აფასებს.

რუსული ფილოლოგიის პროგრამა, ლიტერატურის თეორია

- საუდიტორიო აქტივობა ფასდება 15 კვირის განმავლობაში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია პირველი კვირის განმავლობაში, ასევე ქვიზის თუ პრეზენტაციების კვირეულში.

- დასკვნითი გამოცდის ზეპირი კომპონენტის ჩაბარებისას სტუდენტს ეძლევა 2 თეორიული საკითხი. აღნიშნული კომპონენტის შეფასების რუბრიკა მოიაზრებს პრეზენტაციის უნარების შემოწმებას. შესაბამისად, ბუნდოვანია სტუდენტს ეძლევა თუ არა თეორიული საკითხების ჩამონათვალი წინასწარ, ასევე, ვინაიდან პრეზენტაციაა გასაკეთებელი, ევალუა თუ არა სტუდენტს ყველა თეორიული საკითხის ირგვლივ ჰქონდეს პრეზენტაცია მომზადებული. (მაქსიმალური შეფასების რუბრიკაა: საკითხი გაშუქებულია სრულყოფილად, პრეზენტაციის ტექნოლოგია გამოყენებულია სრულად, კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია სათანადო დონეზე; სტუდენტი ზედმიწევნით ამჟღავნებს დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს; აქვს მასალის კომპაქტურად გადმოცემის უნარი).
- დასკვინი გამოცდა ასევე მოიცავს არგუმენტირებული ნაშრომის შესრულებას/წარმოდგენას წყვილებში. არაა დაკონკრეტებული სტუდენტები ფასდებიან ინდივიდუალურად თუ გუნდურად ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში.

რუსული ფილოლოგიის პროგრამა, შესავალი ფილოსოფიაშია

- შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია რეფერატი, მაგრამ არაა მოცემული დეტალური ინფორმაცია რეფერატის შესრულებასთან დაკავშირებით.

გერმანული ფილოლოგიის პროგრამა, თარგმანის თეორია და პრაქტიკა

- კურსში *თარგმანის თეორია და პრაქტიკა* შეფასების კომპონენტები მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობას (15 ქულა), წერით თარგმანს (5 ქულა), ქვიზს (10 ქულა 5+5), შუალედურ გამოცდას 30ქულა და დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

კურსის დასახელებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტს კურსის განმავლობაში უნდა განუვითარდეს წერილობითი და ზეპირი თარგმანის კომპეტენციები. შეფასების კომპონენტები ძირითადად ორიენტირებულია თეორიული ცოდნის შემოწმებაზე, კერძოდ, შუალედური გამოცდა, რომელიც მოიცავს დახურულ ტესტსა და ღია დავალებას ეხება კურსში გავლილ თეორიულ საკითხებს. ქვიზის ტიპი და მასში შემავალი საკითხები ბუნდოვანია სილაბუსში, ხოლო წერილობითი თარგმანის ხევდრითი წილი შეფასების სისტემაში მხოლოდ 5 ქულაა, მაშასადამე, კურსში დასკვნით გამოცდამდე სტუდენტის ზეპირი თარგმანის უნარი არ მოწმდება, რაც აღნიშნული კომპეტენციის სათანადო განვითარებაზე გარკვეულწილად აისახება.

გერმანული ფილოლოგიის პროგრამა, ქართულ-გერმანული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები

- კურსი „ქართულ-გერმანული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები“ აქტივობის ქულა (15) მოიცავს სამუშაო ჯგუფში მუშაობასა და დისკუსიაში ჩართულობას, თუმცა ასევე ცალკე შეფასების კომპონენტია კონკრეტული ნაწარმოების ანალიზი ზეპირად (5 ქულა). არ არის განმარტებული აღნიშნული შეფასების კომპონენტის არსი და გამოკითვის მეთოდი: სტუდენტს წინასწარ მიეთითება კონკრეტული თემა/კონტექსტი ზეპირი ანალიზისთვის, თუ თავისუფალია არჩევანში. იგივე შეიძლება ვთქვათ საპრეზენტაციო თემებზე. სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ თემების, მხატვრული ნაწარმოებების ჩამონათვალი, თუ დამოუკიდებლად ირჩევენ საპრეზენტაციო ტექსტს/თემას (აღსანიშნავია ის, რომ ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში არსებული ტიპოლოგიური კავშირებისა და ტენდენციების

გამოსაველნად, დასაკვირვებლად საჭიროა, პირველადი წყაროების გაცნობა, თუმცა კურსში აღნიშნული წყაროები არ გხვდება, შესაბამისად, ბუნდოვანია, ზეპირი ანალიზი/პრეზენტაცია რას ეფუძნება).

შენიშვნა: მსგავსი ტიპის შენიშვნების განზოგადება შესაძლებელია ყველა პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებზე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ გასაუბრების დროს, აკადემიური პერსონალი მნიშვნელოვან გამოწვევად/სირთულედ ასახელებს სტუდენტების მეტყველების უნარის განვითარებას. ისინი აღნიშნავენ, რომ სტუდენტებს ზეპირი მეტყველება უჭირთ ყველაზე მეტად. სტუდენტებთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა ინფორმაციის ნაკლებობა აკადემიური სტილის შესახებ, რაც აისახება საბაკალავრო ნაშრომების ხარისხზეც.

სტუდენტები VIII სემესტრში წერენ საბაკალავრო ნაშრომს. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები გადასახედია, ვინაიდან არსებული ვერსიით აღწერილია საბაკალავრო ნაშრომის წერის ეტაპები, ვიდრე შედეგი, რაზეც უნდა გავიდეს კურსი/პროგრამა. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით. შუალედურ შეფასება ხორციელდება ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ, ხოლო დასკვნითი შეფასება - კომისიის მიერ. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია და სტუდენტები ინფორმირებული არიან კომპონენტების თუ რუბრიკების შესახებ. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ მიღებული ინფორმაციას აკადემიური სტილის შესახებ, შესაბამისად არ იყენებენ მას რეფერატების თუ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მიზნით.

სტუდენტები გასაუბრების დროს აღნიშნავენ რომ იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან შეფასების შესახებ. მათ შეუძლიათ განიხილონ შეცდომები და/ან გაასაჩივრონ შედეგები შიდა საუნირვერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად (საგამოცდო ცენტრის დებულება).

უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამების სწავლის შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შეფასების პერიოდულობას, პირადაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, შედეგებზე დაყრდნობით პროგრამების გადახედვას და მონიტორინგს და შედეგების გამოყენებას პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, წარმოდგენილია პროგრამების სწავლის შეფასების გეგმა, რითაც, დამატებითი, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულებია და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები. აღსანიშნავია, 2017-2021 წლების საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის განხილული პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევა შემდეგნი კომპონენტების გათვალისწინებით: კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა თვისობრივი მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, სასწავლო კურსის შეფასება, და სამიზნე ნიშნულების მიღწევის შეფასება. ხარისხის სამსახურთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გამოყენებული იყო პროგრამების დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების დოკუმენტები (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია)
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების სწავლის შეფასების მექანიზმი
- სწავლის შეფასების გეგმა
- საბაკავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი 2017-2021 წლები
- საგამოცდო ცენტრის დებულება
- გასაურბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

23. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და შესაბამისი რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსის სასწავლო შედეგებზე გასვლა და სტუდენტს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მოსალოდნელი შეფასების, დავალების სახეობების შესახებ.
24. რეკომენდებულია სილაბუსებში სათანადო აქცენტი გაკეთდეს წერის/კვლევის უნარების განვითარებაზე, შესაბამისად, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები საჭიროა აფასებდეს პრაქტიკულ უნარებს, ისევე როგორც თეორიული ცოდნას.
25. მნიშვნელოვანია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომების შეფასების პროცესში გათვალისწინებული იყოს აკადემიური სტილის გამოყენების შეფასება. შესაბამისად, შესაბამისმა აკადემიურმა პერსონალმა უნდა მიაწოდოს სტუდენტებს ამომწურავი ინფორმაცია აკადემიური სტილის შესახებ. რუსული ფილოლოგიის შემთხვევაში, მიზანშეწონილია აღნიშნული გათვალისწინებული იყოს პროგრამის სათანადოდ განხორციელებისთვის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი:

- გერმანული ენის პრაქტიკულ კურსებში დაემატოს დამოუკიდებელი საშინაო წერითი დავალებების შეფასების კომპონენტი, რომელიც გააუმჯობესებს, ერთი მხრივ, სტუდენტის წერით უნარებს და ლექტორს საშუალებას მისცემს, ინტენსიურად დააკვირდეს სწავლის პროცესში წერითი კომპეტენციის განვითარების ეტაპებსა და გამოწვევებს, მეორე მხრივ, სტუდენტს გამოუმუშავებს სალექციო-სასემინარო პროცესში მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას,

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

შეფასება

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების „ინგლისური ფილოლოგია“, „გერმანული ფილოლოგია“ და „რუსული ფილოლოგია“ (შემდგომში – პროგრამები) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირებისა და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ.

აკრედიტაციის ვიზიტისას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებს ეძლევათ ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რათა, სურვილის შემთხვევაში, მოხდეს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა სახის შემეცნებითი ღონისძიებები. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ უცხოენოვანი ლექტორების მიერ საჯარო ლექციებისა და თემატური შეხვედრების ჩატარებას. მაგალითად, 2022 წლის 16 მაისს, Erasmus+ ფარგლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა ლეშნოს იან ამოს კომონსკის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი ლეჟეკ ჟიმანსკი, რომელმაც ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებისთვის ჩაატარა ლექცია თემაზე - „ენა, როგორც მეცნიერების

გამოყენების ობიექტი“, ასევე „ინგლისური ენის გრამატიკის საკითხები, ბრიტანულ-ამერიკული ვარიანტები“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უსდ აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან და მათთან ერთად ახორციელებს სტუდენტებისათვის პროექტებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების ინიციატივით ჩამოყალიბებული კლუბები სფეროების მიხედვით და სხვა სტუდენტური გაერთიანებები, რომლებიც უნივერსიტეტის მხარდაჭერით დამოუკიდებლად ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, კონფერენციებს, საჯარო ლექციებს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს სწავლების ინკლუზიურობას. უნივერსიტეტი განსაკუთრებულად ზრუნავს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასა და მათთვის სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერი ღონისძიებების შეთავაზებაზე. მაგალითად, შემეცნებითი გასვლების ორგანიზებას (მათი კულტურულ, რელიგიური სპეციფიკის გათვალისწინებით) და სხვ. მნიშვნელოვანია, გაეროს ბავშვთა ფონდის Unicef Georgia-ს პროექტი (პროექტის ნომერი N(GEO/SOU/CP/2021/00), 2021 – 2022 წწ. USAID საბაზისო განათლების პროგრამა, 2020 – 2024) ბავშვთა უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის, რომელშიც უსდ ჩართულია.

სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე კურიკულუმს გარეშე და სტუდენტური ცხოვრების აქტივობების ირგვლივ საჭირო საკითხების მიმართულებით. პროგრამების სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელზეც მათ მიეწოდებათ ძირითადი ინფორმაცია პროგრამების შესახებ. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ინგლისური და გერმალური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები ნაკლებად ინტერესდებიან ან აღწევენ წარმატებას გაცვლითი პროგრამების შესარჩევ კონკურსებზე. აღნიშნული ასევე მეტყველებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების მეტად გაძლიერების საჭიროებაზე, რათა სტუდენტებმა შეძლონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების გამოყენება. სტუდენტებიც ადასტურებენ რომ ნაკლებად ინტერესდებიან და იღებენ მონაწილეობას გაცვლი პროგრამებში, თუმცა ამის შესახებ მათ ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის მხრიდან.

უსდ-ში ყოველსემესტრული ხასიათი აქვს სტუდენტთა გამოკითხვებს მათი კმაყოფილებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის დადგენისა და შესაძლო გაუმჯობესების მიზნით.

ადმინისტრაციული და აკადემიური საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი რჩევების მიღება სტუდენტებს შეუძლიათ უსდ-ის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
- სტუდენტური თვითმმართველობა;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათშორისი კავშირების სამსახური;
- სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური;

- უცხო ენების ცენტრი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ლექტორსა და სტუდენტს შორის უზრუნველყოფილია მუდმივი კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით. შეფასებების ასახვისა და პროფესორებისა და ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტების ინფორმირებისათვის კი გამოიყენება სპეციალური შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალი.

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა მათი მზაობა საკონტაქტო საათების მიღმა, უპასუხონ სტუდენტების საჭიროებებს, გაუწიონ მენტორობა როგორც სასწავლო კომპონენტების ფარგლებში წარმართული სამუშაოებისას, ასევე კლასგარეშე პროექტებში მონაწილეობისას. თუმცა, პროგრამების სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ არ აქვთ წინასწარ განსაზღვრული საკონსულტაციო საათები და უსდ-ში საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, საკონსულტაციო დატვირთვების მოცულობა და კვირეული განაწილება აისახოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის დოკუმენტებში. შესაბამისად, უნდა მიეწოდოთ სტუდენტებს ინფორმაცია მათთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საიტზე და სოციალური ქსელებში სტუდენტურ ჯგუფებში ქვეყნდება გაცვლითი პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც პროგრამების სტუდენტები თავისუფლად ეცნობიან, მათი გაცვლითი პროგრამებში ჩართულობის ხარისხი დაბალია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესაფასებელი პროგრამების სტუდენტებიდან არცერთს მიუღია მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში. ამდენად, სასურველია უსდ-ს მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ინტერესის ამაღლებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას, რამეთუ უცხოენოვანი ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამების სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების მიღება (მსჯელობა და შესაბამისი რეკომენდაცია მოცემულია კომპონენტ 2.2-ში)

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

- პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.
- პროგრამა 2 (გერმანური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.
- პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

- ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან;
- სტუდენტების (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების სტუდენტთა) გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების კურსდამთავრებულთა) გამოკითხვა;
- სტუდენტების პროექტებში/კონფერენციებში ჩართულობის ანგარიში;
- ინტერნაციონალიზაციის შესახებ დოკუმენტი;
- სილაბუსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის გეგმა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://www.sou.edu.ge/>.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების ხელმძღვანელებმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ხელი შეუწყოს პროგრამების სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მეტ ჩართულობას (ან უნივერსიტეტის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა). საჭიროა ჩატარდეს ანალიზი შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მიზანშეწონილია რუსული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იყოს იგივე პრაქტიკა.
- სასურველია, სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ, მათ შორის, სილაბუსის ფარგლებში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) ⁸	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	

⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

//დოქტორანტების რაოდენობა			
თანაფარდობა	-	სამაგისტრო	ნაშრომების
ხელმძღვანელები/მაგისტრანტები			
თანაფარდობა	-	სადოქტორო	ნაშრომების
ხელმძღვანელები/დოქტორანტები			

მტკიცებულებები/ინდიკატორები -

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი		შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა					
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	1	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	2	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	3	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამები განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები), მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან, რაც შესაძლებელს ხდის პროგრამების შედეგების მიღწევას.

საკრედიტაციოდ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგთა გათვალისწინებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.

დოკუმენტაციაში მოწოდებული ინფორმაციისა და ინტერვიუს შედეგთა გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს ნამდვილად აქვს პროგრამის სწავლის

შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია. პროგრამაში ჩართული პერსონალის საათობრივი დატვირთვის დოკუმენტი ასახავს მათი პროგრამის განხორციელებაში ჩართვის ინტენსივობას, რაც შესაბამის თანაფარდობას ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის.

პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობებში თუ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია კვლავაც გააქტიურდეს უნივერსიტეტის ძალისხმევა ელექტრონული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, სასურველია უნივერსიტეტი მუმიდევ რეჟიმში ზრუნავდეს და წახალისოს აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი ჩაერთონ სამეცნიერო საქმიანობაში.

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)⁹				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებები თ პერსონალი¹⁰	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებები თ დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	24	11	11	11
- პროფესორი	4	1	1	
- ასოცირებული პროფესორი	15	8	8	
- ასისტენტ-პროფესორი	3	2		
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	2			
სამეცნიერო პერსონალი				

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)¹²				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებები თ პერსონალი¹³	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებები თ	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁰ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

¹² საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹³ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

მოწვეული პერსონალი)			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁴	
სულ აკადემიური პერსონალი	20	8	4	14
- პროფესორი	4	1		
- ასოცირებული პროფესორი	8	1		
- ასისტენტ-პროფესორი	2			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	6	2		–
სამეცნიერო პერსონალი				–
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)¹⁵				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	25			16
- პროფესორი	3			
- ასოცირებული პროფესორი	11	3	3	
- ასისტენტ-პროფესორი	2			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	9	4	4	
სამეცნიერო პერსონალი				

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

სიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები), მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან, რაც შესაძლებელს ხდის

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

¹⁵ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამების შედეგების მიღწევას. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაცემთა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი რიცხოვრივი მონაცემები: აფილირებული პროფესორი - 2, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 15, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი 3, მოწვეული ლექტორი - 2.

საკრედიტაციოდ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგთა გათვალისწინებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.

მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ვლინდება, რომ პროგრამის განმახორციელებლები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო აქტივობებში, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიუებისასაც; მაგალითად, აკადემიური პერსონალის ინტერდისციპლინარული საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (14 მაისი - 31 ივლისი თბილისი, 2022).

ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით იკვეთება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად აქვეყნებს სტატიებს საზღვარგარეთის ჟურნალებში და გადის კურსებს/ტრენინგებს ზოგადი და პროფესიული მიმართულებებით; მაგალითად, ინგლისური ფილოლოგიის აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და მულტიკულტურული განათლებისა და კულტურის კვლევების ცენტრის მიერ ევროკავშირის Erasmus+-ის საგანმანათლებლო პროექტის ASSET (7 მაისი, 2022 წელი).

ექსპერტთათვის მოწოდებულ დოკუმენტაციას თან ახლდა პერსონალის განვითარების დოკუმენტიც, რამაც ინტერვიუს შედეგებთან ერთად შესაძლებელი გახადა რეალური სურათის მართებული აღქმა. ამ კუთხით გამოიკვეთა შემდეგი რიცხოვრივი მონაცემები:

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	234
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	53
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	56
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	43
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	73

დოკუმენტაციაში მოწოდებული ინფორმაციისა და ინტერვიუს შედეგთა გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს ნამდვილად აქვს პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია. პროგრამაში ჩართული პერსონალის საათობრივი დატვირთვის დოკუმენტი ასახავს მათი პროგრამის განხორციელებაში ჩართვის ინტენსივობას, რაც შესაბამის თანაფარდობას ქმნის პროგრამის შედეგების მიღწევისთვის.

პროგრამით გათვალისწინებული მისაღებ და არსებულ სტუდენტთა რაოდენობა (ჯამში 124) ლოგიკურად ნაწილდება განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობაზე (სულ 24). (დანართი1. ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისათვის).

- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით	აფილირებული აკადემიური პერსონალი:	22	სტუდენტები ს რაოდენობა:	124
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით	აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი:	2	სტუდენტები ს რაოდენობა:	124
- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან	აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი:	22	მოწვეული პერსონალი:	2

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის გადინება არ არის აქტიური და განმახორციელებელი პერსონალი, ძირითადად, სტაბილურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან პროგრამის ფარგლებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩართული პერსონალის მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პერსონალი, ამათგან 14 აკადემიური პერსონალი (12 აკადემიური აფილირებული პერსონალი თავისუფალი სავალდებულო კურსების წასაკითხად, დარგის მიმართულებით 2 აფილირებული პერსონალი- 1 პროფესორი და 1 -ასოცირებული პროფესორი გერმანული ენის მიმართულებით) და 6 მოწვეული პერსონალი (2 გერმანული ფილოლოგიის დოქტორია). გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 3 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა არის დაახლოებით 4.67, ხოლო აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან შედარებით 2.0, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 2.33 (14/6). წინამდებარე თანაფარდობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია იმისათვის, რომ გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების საჭიროებები დაკმაყოფილდეს.

პროგრამას ემსახურება 10 როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა მაღალია სტუდენტთა მომსახურებისა და პერსონალის საჭიროების შემთხვევაში.

ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობებისა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეებით დასტურდება ის, რომ გერმანული ფილოლოგიის პროგრამას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები (აკადემიური/აფილირებული/მოწვეული პერსონალი), რომლებიც ჩართულნი არიან სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული დატვირთვის სქემა ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით კომპონენტებს, ასევე პერსონალის დატვირთვას ყველა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებშიც ეწევა დამატებით საქმიანობას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ცხადყოფს იმას, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას, ისე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ არიან ჩართულები სასწავლო პროცესსა და პროგრამის განხორციელებაში. წარმოდგენილი რეზიუმეებისა და ინტერვიუების (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები) საფუძველზე დასტურდება ის, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ სათანადო კვალიფიკაციასა და გამოცდილებას გერმანული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებისათვის, ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებსა და ვორკშოპებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელებაში ჩართულია 25 პერსონალი, აქედან 16 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათგან 13 უმღვება თავისუფალ სავალდებულო კურსებს, 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორია და ასწავლის კურსებს დარგის მიმართულებით. პროგრამაში ჩართულია 9 მოწვეული პერსონალი-4 მოწვეული პერსონალიდან სლავური/რუსული ფილოლოგიის დოქტორია, ისინი სრული განაკვეთით არიან პროგრამაში დასაქმებული და უმრავლესობას არ უკავია პოზიცია სხვა უნივერსიტეტებში. რუსული ფილოლოგიის მიმართულებასთან თანამშრომლობს პლოდოვის (ბულგარეთი) უნივერსიტეტიდან მოწვეული ლექტორი.

აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა შორის ბალანსი დაცულია (16 აკადემიური/9 მოწვეული), რაც პროგრამის მდგარდობას უზრუნველყოფს. პროგრამის ხელმძღვანელები შესაბამისი დარგის სპეციალისტები არიან და აქვთ სათანადო კომპეტენცია პროგრამის განხორციელებისათვის, რაშიც უშუალოდ არიან ჩართულები.

პროგრამას ემსახურება 10 ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამაში ჩართული აფილირებული/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა უცნობია, ვინაიდან პროგრამა ახალია.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობებითა და პროგრამაში ჩართული პერსონალის რეზიუმეებით დასტურდება ის, რომ რუსული ფილოლოგიის პროგრამას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები, რომლებიც ჩართულნი არიან სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული დატვირთვის სქემა ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით კომპონენტებს, ასევე პერსონალის დატვირთვას ყველა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებშიც ეწევა დამატებით საქმიანობას.

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში ასე გამოიყურება:

- ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები-42
- საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები-57
- ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები-47
- საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები-40
- სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები -14

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე/პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები
- კადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია პროგრამაზე ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რათა ეცნობოდეს ინტენსიურად დარგში არსებულ ახალ/აქტუალურ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს კვლევითი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხარისხს.
- სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული ბაზები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იქნება, თუკი უნივერსიტეტი აწარმოებს ელექტრონულ ბაზებზე წვდომის სტატისტიკას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) ¹⁸			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, ავთირებული აკადემიური პერსონალი

¹⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹⁹	
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

აღწერა და ანალიზი -

მტკიცებულებები/ინდიკატორები -

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
 - უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
-

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხს უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასებას. ტარდება გამოკითხვები, პერსონალის კმაყოფილების კვლევა, პერსონალის აკადემიური აქტივობებისა და სასწავლო პროცესის შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუს ანალიზის შედეგების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალს ასევე აფასებენ სტუდენტები ყოველი სემესტრის დასრულებისთანავე და შედეგები ეცნობა როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს და ხდება მათზე რეაგირება, შედეგების შეჯამება, ასევე ფასდება სასწავლო პროცესი, ანალიზირდება შედეგები, მუშავდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი წარადგენს ინფორმაციას სამეცნიერო-კვლევით აქტივობების შესახებ ყოველი წლის ბოლოს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმით.

ინგლისური, გერმანული და რუსული ფილოლოგიის ყოველწლიური სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის ანგარიში გარე შეფასებისთვის ყოველწლიურად ეგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, შეფასებას ახორციელებს ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, რომელიც გამოყოფს ექსპერტებს ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. რომელიც გამოყოფს ექსპერტებს ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. ექსპერტიზების შედეგები, რეცენზიების სახით ეგზავნება სსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს. იხილეთ ფოლდერებში წლების მიხედვით (ბოლო 5 წლის) დალაგებული სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები. შეფასების მაჩვენებელი ყოველწლიურად მზარდია, რასაც წარმოდგენილი მასალებიც ადასტურებს.

პროგრამებში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების / საგრანტო კონკურსებისა და აკადემიური მობილობის კონკურსების შესახებ პროფესორ-მასწავლებლებს მიეწოდებათ სხვადასხვა გზით - ელ. შეტყობინებით, უშუალოდ დეპარტამენტის ხელმძღვანელის ან საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს შესაბამისი თანხა ბიუჯეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით. 2022 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და მულტიკულტურული განათლებისა და კულტურის კვლევების ცენტრის ორგანიზებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, მათ შორის ინგლისური, გერმანული და რუსული ფილოლოგიის

მიმართულებისთვის ჩატარდა ევროკავშირის Erasmus+-ის საგანმანათლებლო პროექტის ASSET-ის „შეფასების ინსტრუმენტები ახალ სასწავლო გარემოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ფარგლებში ტრენინგი „შეფასების ინოვაციური მეთოდები - განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები“, სადაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები.

ასევე, 2022 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის Horizon Europe – ს საგრანტო ოფისმა დაიწყო ტრენინგები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალისთვის, მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის ევროკავშირის სამეცნიერო გრანტებისა და ტენდერების გაცნობის, პორტალზე საქმიანობის წარმართვისა და განახლების მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ნუსხა
- მემორანდუმები
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, შეფასება და ანალიზი
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მფლობელობაში (საკუთრებაში) არსებული ფართი გამთავსებულია ორ სასწავლო კორპუსში (მისამართები: I კორპუსი - ა. პოლიტკოვსკაიას #61; II კორპუსი - თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის #26), არსებობს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, მათ შორის “Tempus” და “Erasmus+” პროექტების ფარგლებში ცალკეული აუდიტორიები აღჭურვილია ვიდეოკონფერენციის მოწყობილობითა და ე.წ. „ჭკვიანი“ დაფებით. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაფინანსება გავალისწინებულია დაწესებულების 2022 წლის ბიუჯეტში (493 357.53 ლარი).

ფაკულტეტის ბიუჯეტში (2022, 2023) კი გათვალისწინებულია სამეცნიერო შრომების, გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემის და სხვ. შეძენისა და დამზადების ხარჯი (49 000 ლარი).

კლასტერში გაერთიანებული ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და რუსული ფილოლოგიის (0231.1.14) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამები) განხორციელებას უზრუნველყოფს დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელიც ამ მიზნით იყენებს II კორპუსის მე-6 და მე-7 სართულებზე არსებულ აუდიტორიებს.

იმის გათვალისწინებით, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამებს აქვთ იდენტური სპეციფიკა, მათ განხორციელებისთვის გამოიყენება მსგავსი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა.

პროგრამების განხორციელებისათვის გამოყენებული აუდიტორიებში (II კორპუსში) განთავსებულია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ინვენტარი, თუმცა ფაქტორივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილში გასაუმჯობესებელი გარეობები. კერძოდ, აუდიტორიების უმეტესობა არ არის აღჭურვილი პროექტორებით, რაც შეაფერხებს ლექტორების მიერ საილუსტრაციო-საპრეზენტაციო მასალების გამოყენებას და სტუდენტების მიერ პრეზენტაციების წარდგენას, რაც სამივე პროგრამის სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტის შეფასების კომპონენტს წარმოადგენს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, წინასწარ ხდება შეთანხმება ლექტორებს შორის ტექნიკური თვალსაზრისით სრულად აღჭურვილი აუდიტორიების გამოყენების თაობაზე ან გამოიყენება დაწესებულების I კორპუსის ერთ-ერთ სართულზე არსებული აუდიტორიები (ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად ამ შემთხვევაშიც არ დადასტურდა ყველა აუდიტორიაში შესაბამისი ტექნიკის არსებობა). აქვე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის სასწავლო ფართი გამოიყენება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც, რაც ართულებს ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიების გამოყენების განრიგის შედგენას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ეს დროებითი მდგომარეობაა, რაც უახლოეს პერიოდში გამოსწორდება. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა ოფიციალური დოკუმენტი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია 12 აუდიტორიისთვის კომპიუტერული ტექნიკისა და პროექტორების (სულ 12 კომპლექტი) შეძენისათვის გამოყოფილი დაფინანსება.

პროგრამების მიზნებისათვის გამოიყენება საბიბლიოთეკო სივრცეები (მისამართები: I კორპუსი - ა. პოლიტკოვსკაიას #61; II კორპუსი - თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის #26), სადაც განთავსებულია დაწესებულების და უშუალოდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბიბლიოთეკო რესურსები. ორივე მისამართზე მოწყობილია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები (I კორპუსში - 50 ადგილი; II კორპუსში - 84 ადგილი), თავისუფალი კომპიუტერული სივრცე, ცალკე გამოყოფილია სივრცე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, უზრუნველყოფილია ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული მასალები ხელმისაწვდომია ბეჭდური ფორმით, ასევე გარკვეული ნაწილი არის გაციფრებული (სახელმძღვანელოები, ლექციათა კურსები, რიდერები და სხვ. არის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზეც).

საბიბლიოთეკო სივრცეებიდან არის წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე (გაფორმებულია ხელშეკრულება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ინიციატივით „Clarivate Analytics“ ჯგუფთან, რაც გულისხმობს „ტომსონ როიტერის“ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომას; ერასმუს+ პროექტის ფარგლებში სტუდენტებსა და პერსონალს ექნება წვდომა „EBSCO“-ს სამეცნიერო და სახელმძღვანელოების ბაზებზე).

არსებობს ელექტრონული ბიბლიოთეკა <https://elibrary.sou.edu.ge/ge/home>, შესაბამისი საიტი და ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკის წარმომადგენლის განმარტებისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად ატვირთულია დაახლოებით 1000-მდე სახელმძღვანელო.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამების სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არაერთხელ ჰქონიათ უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკიდან სახელმძღვანელოებზე წვდომის პრობლემა. ამდენად, აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამივე პროგრამის ყველა საგნისათვის შესაბამისი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის. ამასთან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში მოსაწესრიგებელია საავტორო უფლებების დაცვით წიგნების გაციფრულების საკითხი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამას აქვს იდენტური სპეციფიკა, მათ განხორციელებისთვის გამოიყენება მსგავსი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. შესაბამისად, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ვრცელდება კლასტერის აღწერა-შეფასებაში ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამას აქვს იდენტური სპეციფიკა, მათ განხორციელებისთვის გამოიყენება მსგავსი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. შესაბამისად, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ვრცელდება კლასტერის აღწერა-შეფასებაში ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამას აქვს იდენტური სპეციფიკა, მათ განხორციელებისთვის გამოიყენება მსგავსი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. შესაბამისად, რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ვრცელდება კლასტერის აღწერა-შეფასებაში ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების 2022 წლის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტი (დამატებით წარმოდგენილი);
- დაწესებულების ვებგვერდი - ელექტრონული ბიბლიოთეკა <https://elibrary.sou.edu.ge/ge/home>
- კლასტერში გაერთიანებული ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის და რუსული ფილოლოგიის პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;

- ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია სწავლებისა და შეფასების პროცესის ტექნიკური რესურსით სრულად უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საავტორო უფლებების დაცვა წიგნების გაციფრულების შემთხვევაში.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არსებობს..

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არსებობს.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)				
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამების (ინგლისური, გერმანული და რუსული ფილოლოგია) ფინანსური უზრუნველყოფა ხდება დაწესებულების ბიუჯეტიდან - პროგრამების განმახორციელებელი ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტისთვის გამოყოფილი დაფინანსებიდან. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) აღნიშნეს, რომ დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი ეკონომიკურად მიღწევადია და მიღებული შემოსავლების მოცულობა ყოველწლიურად მზარდია, არსებობს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასური, ეროვნული და საერთაშორისო ფონდების სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა ნებადართული შემოსავალი.

კლასტერში დაჯგუფებულ თითოეულ პროგრამას აქვს თავისი ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია: პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები; პერსონალის მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან, ტრენინგებთან დაკავშირებული ხარჯი; კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები; პერსონალისა და სტუდენტთა კონფერენციების, სესიების სიმპოზიუმების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი; იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხარჯები; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები; სამეცნიერო შრომების, გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემის, რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების შექმნისა და დამზადების ხარჯი და სხვ. თუმცა არც ერთი პროგრამის შემთხვევაში 2022 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პროგრამის ტექნიკური რესურსების განვითარების ხარჯები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ყველა პროგრამას აქვს ანალოგიური საჭიროებები ტექნიკური აღჭირვილობის ნაწილში, შესაბამისად ამ საერთო რესურსურსის დაფინანსება მოხდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების ბიუჯეტებიდან დგინდება, რომ პროგრამების ბიუჯეტები შედგენილია სტუდენტთა მისაღები რაოდენობების გათვალისწინებით. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის გარდა, კლასტერში დაჯგუფებული სხვა პროგრამები, ფინანსური შედეგის თვალსაზრისით, არის დოტაციური (გერმანული ფილოლოგია: - 41550; რუსული ფილოლოგია: -22000). ამ პროგრამების ბიუჯეტებში არსებული ჩანაწერის თანახმად: „ხარჯების კომპენსირება პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისთვის ხორციელდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან“. ინტერვიუს დროს დაისვა კითხვა პროგრამების რენტაბელობის და ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლებმა (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) აღნიშნეს, რომ კლასტერში დაჯგუფებულ თითოეულ პროგრამას აქვს დაწესებულებისთვის განსაკუთრებული, პრიორიტეტული მნიშვნელობა, რაც გულისხმობს ამ პროგრამების უპირობო ფინანსურ მხარდაჭერას და მდგრადობის უზრუნველყოფას დაწესებულების ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით. ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის საფუძველზე შექმნილია დანატებითი პროგრამები, რომლებზეც სწავლობენ ბაკალავრიატის სხვა პროგრამების სტუდენტები (დამატებით პროგრამებს წელიწადში საშუალოდ 15 სტუდენტი ირჩევს), რაც ზრდის პროგრამების შემოსავალს. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს პოზიტიური მოლოდინები პროგრამების მოთხოვნადობის ზრდასთან დაკავშირებით, შემუშავებულია აბიტურიენტების მოზიდვის გეგმა - მაგ., გასვლითი ვიზიტები სკოლებში, უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მასმედიის საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება და სხვ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - პროგრამას აქვს თავისი ბიუჯეტი, დგინდება, რომ პროგრამის ბიუჯეტები შედგენილია სტუდენტთა მისაღები რაოდენობების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - პროგრამის ბიუჯეტებიდან დგინდება, რომ ბიუჯეტები შედგენილია სტუდენტთა მისაღები რაოდენობების გათვალისწინებით. პროგრამა, ფინანსური შედეგის თვალსაზრისით, არის დოტაციური. პროგრამის ბიუჯეტებში არსებული ჩანაწერის თანახმად: „ხარჯების კომპენსირება პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისთვის ხორციელდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან“.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - პროგრამის ბიუჯეტებიდან დგინდება, რომ ბიუჯეტები შედგენილია სტუდენტთა მისაღები რაოდენობების გათვალისწინებით. პროგრამა, ფინანსური შედეგის თვალსაზრისით, არის დოტაციური. პროგრამის ბიუჯეტებში არსებული ჩანაწერის თანახმად: „ხარჯების კომპენსირება პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისთვის ხორციელდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების ბიუჯეტი, 2022;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი, 2022;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი, 2023 (დამატებით წარმოდგენილი);
- ინგლისური ფილოლოგიის სააბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, 2022;
- გერმანული ფილოლოგიის სააბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, 2022;

- რუსული ფილოლოგიის სააბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, 2022;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, კლასტერში (კოდი: 0231) გაერთიანებული ინგლისური ფილოლოგიის (0231.1.2), გერმანული ფილოლოგიისა (0231.1.3) და რუსული ფილოლოგიის (0231.1.14) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამები) აკრედიტაციის სტანდარტებთან, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და „ენის დაუფლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა, პროგრამების

მოდულიზაცია და თვითშეფასების მომზადება უზრუნველყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (შემდგომში - ფაკულტეტი) 2021 წლის 03 ნოემბერს შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ფაკულტეტის დეკანი, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურის უფროსი, ასევე, ბიბლიოთეკის, სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის და სტუდენტთა რეესტრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმომადგენლები, პროგრამების ხელმძღვანელები და დამსაქმებლები. სამუშაო პროცესის დაწყებამდე, ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფის მიზნები, განაწილდა სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები და ამოცანები, ასევე განისაზღვრა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ჩაერთვებოდნენ პროგრამების მოდიფიცირების პროცესში.

სამუშაო პროცესში განხილულ იქნა უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები (მათ შორის, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, აკრედიტაციის სტანდარტები, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „ენის დაუფლება“), განხორციელდა პროგრამების კურიკულუმების განვითარების შესაძლებლობის ანალიზი, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და ბოლო 5 წლის (2017-2021) განმავლობაში მიღებული სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების (მათ შორის, აკადემიური მოსწრების) შესწავლა-შეფასება, ანალოგი პროგრამების მოძიება, ბენჩმარკის დოკუმენტის მომზადება, არსებული გამოცდილების და დარგის საჭიროებების შესწავლა, პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება, პროგრამის და მისი კომპონენტების მოდიფიცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების მოდიფიცირების პროცესი მოიცავდა პროგრამის განხორციელებით მიღებული გამოცდილების/შედეგების ანალიზს, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, შემდგომ კი - ცვლილებების დაგეგმვასა და იმპლემენტაციას მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა როგორც კონკრეტული პროგრამის სრულყოფაზე მიმარ-თული, ისე კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამისთვის საერთო ცვლილებები, მაგალითად:

- დაზუსტდა პროგრამაზე მიღების წინაპირობები და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო გახდა პროგრამის მიმართულების (ინგლისური ფილოლოგია/გერმანული ფილოლოგია/რუსული ფილოლოგია) შესაბამისი სამიზნე ენის (ინგლისური/გერმანული/რუსული) ჩაბარება, ასევე განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (25 %+1);
- გარე შემფასებლების რეკომენდაციების შესაბამისად, ინგლისური/გერმანული/რუსული ენის პრაქტიკული კურსებში გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- შეიცვალა თავისუფალი კომპონენტის სტრუქტურა, რის შედეგად 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა თავად აირჩიოს მისთვის სასურველი ვარიანტი: 1) ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული თავისუფალი კურსები (60 კრედიტი) ან 2) დამატებითი პროგრამა (48 კრედიტი) და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (12 კრედიტი), რაც ზრდის არჩევანის

შესაძლებლობას და ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირებას.

სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის „საბაკალავრო პროგრამის დაგეგვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“, რომელიც ადგენს პროგრამის წარდგენის და დამტკიცების პროცედურებს, მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგ-რამის კურიკულუმისა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებისადმი (მისათითებელი ინფორმაცია), ასევე გამოიყენა დაწესებულებაში მოქმედი სხვადასხვა უნიფიცირებული ფორმები, მათ შორის პროგრამის კურიკულუმის (ასევე, მისი დანართების), სილაბუსის, პროგრამის შეფასების ფორმები და სხვ. სამუშაო პროცესში პერიოდულად ხდებოდა მუშაობის შედეგების განხილვა, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით. კლასტერში გაერთიანებული სამივე პროგრამის პროექტი დაექვემდებარა როგორც შიდა შეფასებას დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, ისე გარე შეფასებას საქართველოს უსდ-ების წარმომადგენლებისა (კოლეგიალური შეფასების ფორმატში), ხოლო „რუსული ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში - ასევე, უცხოელი დარგის სპეციალისტების მიერ. დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად, პროგრამების დასრულებული პროექტები განიხილა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ და დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ.

ინტერვიუს პროცესში სამუშაო ჯგუფის წევრებმა, პროგრამების ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა ისაუბრეს პროგრამის მოფიფიცირების პროცესზე და აღნიშნეს, რომ მიიღეს სათანადო კონსულტირება და საინფორმაციო მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან. ინტერვიუში მონაწილე პირებთან (მაგ., აკადემიური პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან) ინტერვიუს შედეგად დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გა-მოყენების ფაქტი (მაგ., გამოკითხვები, ლექციაზე დაკვირვება, სხვ.). ასევე, პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მათი საქმიანობის შესწავლა-შეფასება, უტარდებათ სხვადასხვა ტრენინგები (მაგ., სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, ელექტრონული სწავლების ორგანიზება, სხვ.). დაწესებულებას ეთხოვა დამატებით წარმოედგინა ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტებით იქნა დოკუმენტები „ელექტრონული სწავლების პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქცია“ და „დისტანციურ რეჟიმში სწავლების პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქცია“) და აკადემიური საბჭოს დადგენილებები, რაც ადასტურებს ამ ფორმით განხორციელებული სწავლების როგორც მეთოდოლოგიური, ისე ადმინისტრაციული საფუძვლების არსებობასა და გამოყენებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ:

- პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესს აქვს რელევანტური და საკმარისი თეორიული საფუძვლები. გამოიყენება წინასწარ დადგენილი შეფასების ინსტრუმენტები;
- პროგრამების მოდიფიცირების პროცესი განხორციელდა დაწესებულებაში დადგენილი წესების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და ექვემდებარებოდა სისტემატურ დაკვირვებას. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე ინტერვიუს შედეგებით - ექსპერტთა ჯგუფთან

შეხვედრებში მონაწილე პირებმა (პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები, სტუდენტები, კურს-დამ-თავრებულები) აღნიშნეს, რომ პროცესი იყო კოორდინირებული და თანამშრომლობითი. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ პროგრამების შეფასება იყო მოკლებული კომპლექსურობას, რადგან სხვადასხვა შეფასების მიუხედავად არ იყო ერთიანობაში დანახული პროგრამისა და მისი განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების (რესურსების) გასაუმჯობესებელი მხარეები (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით) და არ მოხდა ამაზე დროული რეაგირება;

- პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი ინფორმირებულია პროგრამის შეფასების პროცედურულ საკითხებზე, არსებობს პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინფორმაციით ტრენინგებისა და სემინარების შესახებ და ინტერვიუს შედეგებით;
- სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლა-შეფასება და შეჯამება ხარისის უზრუნველყოფის სამსახურის წლიურ ანგარიშში, რომელშიც შეფასებულია სამსახურის საქმიანობა (SWOT ანალიზი), აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის შედეგები და სხვ.;
- პროგრამების განვითარების მიზნით 2022 წელს შემუშავებულია დოკუმენტი „პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ (ადგენს შეფასებების სახეობებს/მეთოდებს, პერიოდულობას, შედეგების განხილვისა და რეაგირების, პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამოყენების საკითხებს და სხვ.). ასევე, მითითებული დოკუმენტის საფუძველზე კლასტერში გაერთიანებული თითოეული პროგრამისთვის შემუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, რომელიც მოიცავს პროცედურულ საკითხებს, შეფასების და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს;
- განსხვავებული ძირითადი სწავლის სფეროების (0231.1.2-ინგლისური ფილოლოგია; 0231.1.3-გერმანული ფილოლოგია; 0231.1.14-რუსული ფილოლოგია) მიუხედავად, კლასტერში გაერთიანებული სამივე პროგრამა მიეკუთვნება უმაღლესი განათლების ერთსა და იმავე საფეხურს (ბაკალავრიატი), დეტალურ სფეროს (0231-ენის დაუფლება) და ორიენტირებულია ერთ-ერთი სამიზნე უცხო ენის (ინგლისურ-რი/გერ-მანული/რუსული) სწავლებაზე A2.1 დონიდან B2.2 დონის ჩათვლით (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემთხვევაში: B2+ დონე), რაც განაპი-რობებს პროგრამების საერთო მახასიათებლებს და დაგეგმილი განვითარების მექანიზმების რელევანტურობას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგების და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხდომის ოქმები (#04, 03. 11. 2021; #01, 09.11. 2021; #02, 16.12. 2021; #03, 28.02.2022; #04, 20.04.2022; #05, 30.05.2022; #06, 18.07.2022; #07, 25.07.2022);
- „საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება #05/01 – 384, 22.02.2018);
- „პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება #05/01 – 31, 31.01.2022);
- „დასაქმების ბაზრის კვლევა. კვლევის ანგარიში“, 2022 (ინგლისური ფილოლოგია - გვ. 20; გერმანური ფილოლოგია - გვ. 19, სლავური/რუსული ფილოლოგია - გვ. 19);
- „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება #05/01 – 20, 20.04.2012);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიური ანგარიშები (2019, 2020, 2021-2020);
- უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების შეფასება დამსაქმებლის მიერ (20.04.22 და 21.08.22);
- ინფორმაცია პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგებისა და სემინარების შესახებ. 2017-2022;
- ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის და სამეცნიერო ანგარიშების შესახებ;
- ინფორმაცია გაცვლით პროგრამებში პროგრამების პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის შესახებ;
- გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ (მათ შორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები);
- „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. 2017-2021 (მათ შორის, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გერმანული ფილოლოგიის პროგრამა, სლავური ფილოლოგიის პროგრამა);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი. 2017-2021“ (მათ შორის, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, სლავური ფილოლოგია); თვითშეფასების ანგარიშის თანდართული და დამატებით წარმოდგენილი;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის: 1) პროგრამისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“; 2) ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი; 3) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დასკვნა პროგრამაზე (შიდა შეფასება; 4) გარე კოლეგიალური შეფასება (საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ); 5) ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის: 1) პროგრამისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“; 2) ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი; 3) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დასკვნა პროგრამაზე (შიდა შეფასება; 4) გარე კოლეგიალური შეფასება (საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ); 5) გერმანული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის: 1) პროგრამისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“; 2) ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი; 3) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დასკვნა პროგრამაზე (შიდა შეფასება; 4) გარე კოლეგიალური შეფასება (საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ); 5)

უცხოეთის სპეციალისტების გამოხმაურება პროგრამაზე; 6) სლავური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;

- „საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ელექტრონული სწავლების პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქცია“ (დამატებით წარმოდგენილი);
- „დისტანციურ რეჟიმში სწავლების პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქცია“ (დამატებით წარმოდგენილი).
- დისტანციური ფორმით სწავლების ორგანიზებასთან დაკავშირებული აკადემიური საბჭოს დადგენილებები (დამატებით წარმოდგენილი);
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფმა განახორციელოს პროგრამის როგორც შინაარსობრივი ასპექტების, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი (მაგ., მატერიალურ-ტექნიკური) რესურსების საკმარისობის შესწავლაც და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოახდინოს პროგრამის შემაჯამებელი შეფასება

კლასტერის საერთო რჩევები:

- მიზანშეწონილია გარე ექსპერტების (უსდ-ების წარმომადგენლების/სხვ.) მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების ეტაპზე, არამედ ასევე ამ პროცესის დასრულების შემდგომაც, რაც ხელს შეუწყობს მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენა-დადასტურებას.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: კლასტერისათვის გაცემული საერთო რეკომენდაციებისაგან განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგ-რამები „ინგლისური ფილოლოგია“, „გერმანული ფილოლოგია“ და „რუსული ფილოლოგია“ (შემდგომში - პროგრამები) გარე შეფასების მიზნით წარედგინა დაწესებულებათა არააფილირებულ დარგის სპეციალისტებს - საქართველოს („რუსული ფილოლოგიის“ პროგრამის შემთხვევაში - ასევე, უცხოეთის) უსდ-ების წარმომადგენლებს. მიღებული გარე შემფასებლების დასკვნები დადებითია. მიუხედავად იმისა, რომ გარე შეფასების დოკუმენტებში არ არის სრულად მითითებული შეფასების თარიღი, მაინც დგინდება, რომ გარე შეფასება განხორციელდა პროგრამების პროექტის მომზადების ეტაპზე, რაზეც მეტყველებს გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების ფაქტი. ასე, მაგალითად:

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა - განხორციელდა საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენლის მიერ პროგრამის კოლეგიალური შეფასება. გაცემული რეკომენდაცია ინგლისური ენის პრაქტიკული კურსებში საკონტაქტი საათების რაოდენობის გაზრდის შესახებ გათვალისწინებულია (დასტურდება ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების (I-VI) სილაბუსებით), ასევე, პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „ინგლისური ენა პროფესიული მიზნებისთვის განათლების მიმართულებით“ (დასტურდება პროგრამის სასწავლო გეგმით);

- გერმანული ფილოლოგიის პროგრამა - განხორციელდა საქართველოს ორი უსდ-ს წარმომადგენლების მიერ პროგრამის კოლეგიალური შეფასება. რეკომენდაციები გერმანული ენის პრაქტიკული კურსებში საათების რაოდენობის გაზრდის, „კულტურათა დიალოგის“ ელემენტების გათვალისწინებისა და გამოყენებულ ლიტერატურაში ინტერნეტში განთავსებული ბოლო წლების კვლევების დამატების შესახებ გათვალისწინებულია, ასევე, გაძლიერდა ქვეყანათმცოდნეობრივი და კულტურის შემსწავლელი საკითხები, გერმანიის ისტორიის სასწავლო კურსს დაემატა გერმანიის კულტურის შემსწავლელი საკითხები, პროგრამას დაემატა ქართულ-გერმანული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები (სავალდებულო ბლოკში), და სხვ. (დასტურდება გერმანული ენის პრაქტიკული კურსების (I-VI) და სხვ. სილაბუსებით და პროგრამის სასწავლო გეგმით);
- რუსული ფილოლოგიის პროგრამა - პროგრამა შეაფასეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების სპეციალისტებმა, რაც მნიშვნელოვანია უცხოეთში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და პროგრამების ჰარმონიზაციისთვის. პროგრამის კოლეგიალური შეფასება განხორციელდა საქართველოს ორი უსდ-ს წარმომადგენლებმა. ასევე, წარმოდგენილია 5 გამოხმაურება პროგრამაზე უცხოეთის დარ-გის სპეციალისტების მიერ (ბულგარეთი, იტალია, ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი). გაცემული და გათვალისწინებულია რამდენიმე რეკომენდაცია, მაგ., გაიზარდა რუსული ენის პრაქტიკული კურსებში საათების რაოდენობა, ასევე, პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატა სხვა სლავური ენებისა და ლიტერატურის, ისტორიის სწავლება (უკრაინული ენა, უკრაინის ისტორია, ბულგარული ენა, ბულგარული ლიტერატურა და სხვ. (დასტურდება რუსული ენის პრაქტიკული კურსების (I-VI) სილაბუსებით, პროგრამის სასწავლო გეგმით).

ინტერვიუს დროს პროგრამების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებებზე და აღნიშნეს გარე შეფასების, მათ შორის, დამსაქმებლების მიერ პროგრამების შეფასების, მნიშვნელობა, ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებმა კი დაადასტურეს, რომ იცნობენ პროგრამებს (გაეცნენ როგორც პროექტს, ისე დასრულებულ ვარისნტს). დამსაქმებელთა აზრით, პროგრამები პასუხობენ მათ მოთხოვნებს, აქვთ შემდგომი განვითარების შესაძლებლობა და დადებით შეფასებას იმსახურებენ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგების და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე კოლეგიალური შეფასება საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ (ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის და რუსული ფილოლოგიის

პროგრამებზე) და უცხოეთის სპეციალისტების გამოხმაურება პროგრამაზე (რუსული ფილოლოგია);

- უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების შეფასება დამსაქმებლის მიერ (20.04.22 და 21.08.22);
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი:

- მიზანშეწონილია „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი:

- მიზანშეწონილია „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან
---	--------------------------------------	--	--	--

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებულ „ინგლისური ფილოლოგიის“ და „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულება ახორციელებს 2012 წლიდან, „რუსული ფილოლოგიის“ პროგრამა - ახალია. შესაბამისად, ამ პროგრამის შემთხვევაში ვერ იქნებოდა გამოყენებული მოქმედი პროგრამებისთვის დადგენილი მექანიზმები, რის გამო დაწესებულებამ წარმოადგინა მომიჯნავე, „სლავური ფილოლოგიის“, საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია: სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და სხვ.

დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად, პროგრამების და მათი განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით ხდება სხვადასხვა მონაცემების შეგროვება და ანალიზი, შედეგებზე დაყრდნობით - რეაგირება და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. ასე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად იყო გამოყენებული, მაგალითად, შემდეგი მექანიზმები:

- შორის ბაზრის საჭიროებების შესწავლა, 2022;
- პროგრამების გარე შეფასება (შეფასების შედეგებს ასახავს გარე შემფასებლების დასკვნები);
- დამსაქმებლების გამოკითხვა (20.04.22; 21.08.22);
- კურსდამთავრებულთა (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების კურსდამთავრებულთა) გამოკითხვა, 2022;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, 2022;
- სტუდენტთა (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების სტუდენტთა) გამოკითხვა, სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასება, 2022;
- სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების მიმდინარეობის შესახებ, 2020;
- სტუდენტთა (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების სტუდენტთა) აკადემიური მოსწრების ანალიზი, 2017-2021;
- საბაკალავრო (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის) პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზი.

განხორციელებული შეფასებების შედეგები ასახულია სხვადასხვა ანალიზის დოკუმენტებში, მაგალითად: „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი. 2017-2022“, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი. 2017-2022“ (აქვე აღნიშნავია რომ კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამისთვის შემუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“) და შეჯამებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშებში (2019, 2020, 2021-2022). გარდა ამისა, უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და დაწესებულებაში მოქმედ წესებთან შესაბამისობის დადგენა, რაც აისახება სამსახურის დასკვნაში. აღნიშნული წარმოდგენს დაწესებულებაში დანერგილ პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმს ისევე, როგორც კონტროლი პროგრამის დამლევის მაჩვენებელზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ისაუბრა ამ მექანიზმის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ გამოყენებული გაუსის მეთოდი და თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენისას გათვალისწინებულია უკვე არსებული გამოცდილება.

დაწესებულებაში, გარდა ზემოთ მითითებულისა, პროგრამების განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა პროგრამების გარე შეფასება დაწესებულებასთან არააფილირებულ პირთა მიერ და საქართველოსა და უცხოეთის ანალოგ პროგრამებთან დადარება-ანალიზი, რომლის გამოყენება დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგების შესახებ. ინტერციუს დროს დასმულ კითხვაზე უცხოეთის უსდ-ების შერჩევის პრინციპის შესახებ პროგრამების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ შესწავლილ იქნა პარტნიორი უსდ-ების პროგრამები, ასევე პროგრამები, რომლებზეც იყო თავისუფალი წვდომა ინტერნეტ-სივრცეში. კლასტერში გაერთიანებული სამივე პროგრამის შემთხვევაში წარმოდგენილი ე.წ. „benchmark“-ის დოკუმენტი მოიაზრს შემდეგ ინფორმაციას: 1) ბენჩმარკინგის ეტაპები (გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა; სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრა; შედარებისათვის აუცილებელი მონაცემების მოძიება და შეგროვება; შედარების შედეგად მიღებული თანხვედრის პროცენტული მაჩვენებლის გამოვლენა), 2); მეთოდოლოგია (უსდ-ების განსაზღვრა, შესადარებელი მიმართულებები, ინდიკატორები). თითოეულ დოკუმენტში მითითებულია შერჩეული უსდ-ები, მათ პროგრამებთან დაწესებულების პროგრამის დადარების შედეგები, თანხვედრის მაჩვენებელი (%) და დასკვნა დადარების შედეგების შესახებ. უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები შემდეგია:

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა - შესწავლილია ვილნიუსის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 80%); ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 65%), დაუგავპილსის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 60%). დასკვნის თანახმად, გაზიარებულია მიდგომები თეორიული და პრაქტიკული სწავლების სინთეზის კუთხით, დამატებულია ინგლისური ენა B2+ დონე (ზღვრული განვითარებული დონის გაძლიერებულ საფეხური), სავალდებულო სასწავლო კურსი „ინგლისური ენის ფონეტიკა“ და არჩევითი სასწავლო კურსები: „ინგლისური პროფესიული მიზნებისათვის (განათლება)“, „დიდი ბრიტანეთი - ისტორია და კულტურა“, „დიადი სახელები/მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან“. (აღნიშნული დასტურდება პროგრამის სასწავლო გეგმით და შესაბამისი სილაბუსებით).
- გერმანული ფილოლოგიის პროგრამა - შესწავლილია ვალადოლოდის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 66.7%), ადამ მიცკევიჩის სახელობის პოზნანის უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის ინსტიტუტის პროგრამა (თანხვედრა 65.8%); ვილნიუსის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 53.6%); დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 56.7%); ლატვიის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 52.2%). დასკვნის თანახმად, პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები: „გერმანული ენის სიტყვაწარმოების საფუძვლები“, „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ და „გერმანული ენის პრაქტიკული ფონეტიკა“. (აღნიშნული დასტურდება პროგრამის სასწავლო გეგმით და შესაბამისი სილაბუსებით)
- რუსული ფილოლოგიის პროგრამა - შესწავლილია ახალი ბულგარული უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 43.0%); პლოვდივის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 75.0%); ლატვიის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 67.0%); ვილნიუსის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 69.0%); პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 60.0%); დაუგავპილსის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 60.0%); პეკის უნივერსიტეტის პროგრამა (თანხვედრა 60.0%). დასკვნის თანახმად, გაზიარებულია მიდგომები თეორიული და პრაქტიკული სწავლების სინთეზისა და შერწყმის კუთხით, პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული რუსული ენის როგორც უცხო ენის სწავლების 6 დონე (A2 - B2), რაც დამატებულია კურიკულუმში თანამედროვე რუსული ენის თეორიულ სწავლებასთან ერთად. ასევე, პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის: „პროფესიული (დარგობრივი) რუსული ენა“ (ბიზნესი და ეკონომიკა, სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები), სლავური ენებისა და ლიტერატურის არჩევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით დამატებულია სასწავლო კურსები: „უკრაინული ენა“ (1,2) და „უკრაინის ისტორია“, „ბულგარული ენა (ზოგადი კურსი)“ და „ბულგარული ლიტერატურა (ზოგადი კურსი)“.

უცხოეთის უსდ-ების პროგრამების შესწავლა განხორციელდა პროგრამების პროექტის მომზადების ეტაპზე, რაზეც მეტყველებს როგორც გაზიარებული მიდგომები (მაგ., პროგრამების შინაარსი, სასწავლო გეგმა, სილაბუსები), ისე პროგრამების შემუშავების ეტაპზე ამ საკითხების განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ., ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #1, 2, 3, 4) და ინტერვიუში მონაწილე პირთა განმარტებები. ექსპერტების კითხვაზე როგორი იყო საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ შესწავლილი ყველა პროგრამა, თუმცა არსებული გამოცდილება ვერ იქნებოდა სრულად გამოყენებული, რადგან შესწავლის პერიოდში საქართველოს ყველა უსდ-ში მიმდინარეობდა

ამ პროგრამების მოდიფიცირება. ინფორმაცია დადარების შედეგების შესახებ შეჯამებულია ერთიანი დოკუმენტის სახით. ასევე, ინფორმაცია ანალოგი პროგრამების შესახებ (უსდ-ს დასახელება, შესაბამისი ბმული) მითითებულია პროგრამების კურიკულუმებში (რუბრიკა „პროგრამის ანალოგები“), რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგების და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 2 (გერმანური ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება #05/01 – 384, 22.02.2018);
- „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება #05/01 – 20, 20.04.2012);
- „პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება #05/01 – 31, 31.01.2022);
- „დასაქმების ბაზრის კვლევა. კვლევის ანგარიში“, 2022 (ინგლისური ფილოლოგია - გვ. 20; გერმანური ფილოლოგია - გვ. 19, სლავური/რუსული ფილოლოგია - გვ. 19);
- პროგრამების გარე შეფასება (შეფასების შედეგებს ასახავს გარე შემფასებლების დასკვნები);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა - უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების შეფასება დამსაქმებლის მიერ (20.04.22 და 21.08.22);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, 2022;
- კურსდამთავრებულთა (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების კურსდამთავრებულთა) გამოკითხვა, 2022;
- სტუდენტთა (მათ შორის, ინგლისური/გერმანული/სლავური ფილოლოგიის პროგრამების სტუდენტთა) გამოკითხვა, სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასება, 2022
- სტუდენტების გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ, 2020 (მათ შორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები);
- „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. 2017-2021 (მათ შორის, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გერმანული ფილოლოგიის პროგრამა, სლავური ფილოლოგიის პროგრამა);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი. 2017-2021“ (მათ შორის, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, სლავური ფილოლოგია); თვითშეფასების ანგარიშის თანდართული და დამატებით წარმოდგენილი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიური ანგარიშები (2019, 2020, 2021-2020);

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხდომის ოქმები (#01, 09.11. 2021; #02, 16.12. 2021; #03, 28.02.2022; #04, 20.04.2022;);
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის: 1) პროგრამისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“; 2) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დასკვნა პროგრამაზე (შიდა შეფასება; 3) გარე კოლეგიალური შეფასება (საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ); 4) ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი;
- გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის: 1) პროგრამისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“; 2) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დასკვნა პროგრამაზე (შიდა შეფასება; 3) გარე კოლეგიალური შეფასება (საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ); 4) ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი;
- რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის: 1) პროგრამისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“; 2) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დასკვნა პროგრამაზე (შიდა შეფასება; 3) გარე კოლეგიალური შეფასება (საქართველოს უსდ-ების დარგის სპეციალისტის მიერ); 4) უცხოეთის სპეციალისტების გამოხმაურება პროგრამაზე; 5) ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან
---	--------------------------------------	--	--	--

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - სოხუმის სახემწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილი შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილი შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან
პროგრამა 3 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილი შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ ბანძელაძე


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



სახელი, გვარი, ხელმოწერა: რევაზ ტაბატაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა: სალომე პატარიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ გვიანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ჯავახიშვილი

